# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 3 აპრილი 2007 №72 (2995) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არველაძე ყატარზე ლაპარაკზე ლაპარაკობს






„ბაიერნს“ „მილანის“ ბოლო ნაცბენი — 1:4 „სან სიროზე“ — დღემდე მწარედ ახსოვს

## წინ, ძახილის ნიშნისკენ!
### დღეს-ხვალ ტყვილ-ტყვილად

23 მაისს ათენის ოლიმპიურ სტადიონზე საფეხბურთო ევრომარათონს წერტილი, უფრო სწორად კი, ძახილის ნიშანი დაესმება, თუმცა ეს რომ მოხდეს, ჯერჯერობით პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: „მილანი“ თუ „ბაიერნი“? „პსვ ეინდჰოვენი“ თუ „ლივერპული“? „რომა“ თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“? „ვალენსია“ თუ „ჩელსი“?

დღეს პირველი ორი წყვილის დღეა, ხვალ დანარჩენთა.

–„მილანი“ ჩემპიონთა თასის ექვსგზის მფლობელია, „ბაიერნი“ ოთხგზის. იტალიური გუნდი ამ სეზონში ძირითად აქცენტს სწორედ ლიგაზე აკეთებს, გერმანულს კი სათავეში დიდი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი დაუბრუნდა და თვალსა და ხელს შუა ემატება ძალა...

–„პსვ ეინდჰოვენი“ 1988 წელს ფლობდა ჯილდოს, „ლივერპული“ კი ხუთჯერ, ამათგან ბოლოს 2003-ში...

–„რომას“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ თეორიულად სამ-სამ შეჯიბრებაში გამარჯვების შანსი აქვთ: ქვეყნის ჩემპიონატში, თასზე და ჩემპიონთა ლიგაში. „რომას“ ჩემპიონთა თასი არ ჰქონია (1984 წელს ფინალში იყო), „მანჩესტერს“ ორჯერ ჰქონდა...

–„ჩელსი“ ბოლო ოთხ წელიწადში ნახევარფინალში მესამედ გასვლას ცდილობს, თუმცა ფინალში არასდროს ყოფილა, „ვალენსია“ კი 2000 და 2001 წლების ფინალისტია...





## ბლატერი ბრეჟნევია
### ფიფას პრეზიდენტი ისევ ფიფას პრეზიდენტი იქნება



ზეპ ბლატერი უკონკურენტოდ იქნება ფიფას პრეზიდენტის არჩევნებზე, რომელიც 31 მაისს გაიმართება ციურიხში.

კანდიდატებს განაცხადები 1 აპრილამდე უნდა შეეტანათ, მაგრამ მსურველი არავინ აღმოჩნდა.

ამგვარად, 71 წლის ბლატერი მესამე წრეზე წავა — იგი 1998 წლიდან, ბრაზილიელი ჟოაო ავილანჟის წასვლის შემდეგ თავკაცობს მსოფლიო ფეხბურთს, მანამდე კი შვეიცარიელი იურისტი ფიფაში გენერალურ მდივნად მუშაობდა.

2002 წლის არჩევნები ბლატერმა აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის შეფ ისა ჰალატუს მოუგო, რომელმაც თქვა, ფიფა კორუფციაშია ათქვეფილი და გასუფთავება სჭირდებაო. შვეიცარიელმა, რა თქმა უნდა, ყველა ბრალდება უარყო...

**ვაჟა ხუციშვილი**



[illegible] ფოტო

# ჩვენი ბიჭები კარგ კომპანიაში
## ცანკერი იმის იქით იყურება

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა ჰერბერტ ცანკერმა გუშინ ის 18 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც 6-10 აპრილს პორტუგალიაში, კასტელო ბრანკოს ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე სათამაშოდ წაიყვანს.

საქართველოს, პორტუგალიის და დანიის ნაკრებთა გარდა ამ ტურნირში მასპინძლები, კასტელო ბრანკოს რეგიონის 18-წლამდელები ითამაშებენ. 7 აპრილს ჩვენები პორტუგალიელებს გაეჯიბრებიან, 8-ში დანიელებს, 10-ში კი კასტელო ბრანკოს გუნდს.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, უფრო სწორად კი, 1991 წელს დაბადებული ქართველები პორტუგალიაში ასეთი შემადგენლობით მიემგზავრებიან:

***მეკარეები:*** *დავით მეფარიძე (ვაგრა), თორნიკე ნიორაძე („დინამოს" აკადემია).*

***მცველები:*** *დათა რიგვავა („ოლიმპის" აკადემია), გიორგი ბაგელიშვილი (ვიტ ჯორჯია), გივი ხაჩიძე (ბათუმი), ერნესტ აბალბედაშვილი („დინამოს" აკადემია), ნუგზარ ჭანკვეტაძე („დინამოს" აკადემია).*

***ნახევარმცველები:*** *მერაბ ბამულაძე (ბათუმი), ნიკა ძლამიძე (ბაია ზუგდიდი), ბექა ქარდავა („ოლიმპის" აკადემია), გივა მელიქიშვილი (კახეთი), ერეკლე ფილია („ოლიმპის" აკადემია), გიორგი გორდეზიანი (ოლიმპი, რუსთავი), დავით ბოლოთაშვილი (დილა), ნიკა შონია („ოლიმპის" აკადემია).*

***თავდამსხმელები:*** *ირაკლი შეყილაძე (ბაია), შალვა კვანტალიანი (სპარტაკი, თბილისი), გიორგი ვაშაკიძე („დინამოს" აკადემია).*

კასტელო ბრანკოს ტურნირზე სამსაჯოდ მიემგზავრება ფიფას არბიტრი ლევან კვარაცხელიაც. ჩვენები პორტუგალიისკენ პარასკევს აიბარგებიან, შინ კი 11-ში დაბრუნდებიან.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ემზადება ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის, რომელიც შემოდგომით გაიმართება. პორტუგალიური ტურნირის შემდეგ, გაზაფხულზევე, ჩვენები იტალიაში, რევაგუნდიან საერთაშორისო ტურნირზეც ითამაშებენ.

**ლუკა თალაკვაძე**



[illegible] ფოტო

# ფარერები ყველას სახეზე გვეტყობოდა...
## დავით მუჯირი: ხარისხი და შედეგი ერთად გვინდა

**სამარის „კრილია სოვეტოვის" ოფიციალურმა ვებგვერდმა საპირველაპრილოდ იხუმრა და გუნდის ქართველ შემტევ დავით მუჯირს თურქმენეთის მოქალაქეობა უბოძა, თანაც პირდაპირ თურქმენეთის ახალარჩეული პრეზიდენტის, ყურბანყული ბერდიმუხამედოვის ხელით. საქმე ისაა, რომ მუჯირს, რომელმაც სავიზო სირთულეების გამო „კრილიას" სამი შეკრებისას საკმაო დრო გამოტოვა, ახლაც იგივე პრობლემა აწუხებს. ფარერის ნაკრებთან თამაშის შემდეგ ჩვენებური თბილისში ჩარჩა და სამარული კლუბის „მოსკვასთან" კალენდარული თამაში გაუცდა. არადა, სხვა ქართველი ფეხბურთელები უპრობლემოდ გაბრუნდნენ თავიანთ რუსულ კლუბებში. გუშინ მუჯირს თბილისში შევეხმიანეთ...**



[illegible] ფოტო

— ყველა ლეგიონერი ჩავიდა რუსეთში, შენ რამ შეგაფერხა?

— რუსეთში შესვლა-გამოსვლის რაოდენობა შეზღუდულია და მე უკვე ამომეწურა. წესით, ახალი ვიზა უნდა მოეცათ, მაგრამ რატომ გაიწელა ეს საქმე, გაუგებარია.

— როდისთვის ელი ვიზას?

— არ ვიცი, მითხრეს, სამშაბათსო და ვნახოთ.

— კლუბის ვებგვერდმა საპირველაპრილოდ თურქმენეთის მოქალაქედ გაქცია...

— დღეს გავიგე და გამეცინა, ასე რომ ყოფილიყო, ახლა თბილისში კი არ ვიქნებოდი.

— სანაკრებო ამბებიც გავიხსენოთ. ფარერებთან თამაშის შემდეგ გულშემატკივარი გაწბილებული დარჩა...

— თავადაც ვხვდებით, რომ უკეთ თამაში გვმართებდა. ისეთი თამაშით მარტო ფარერების ნაკრებს თუ მოვუგებდით. საწყენი ისაა, რომ, როცა ხარისხიან და კარგ ფეხბურთს ვაჩვენებთ, მაშინ შედეგს ვერ ვაღწევთ. ახლა იმედი გვაქვს, რომ ლიტვასთან და საფრანგეთთან ხარისხიც გვექნება და შედეგიც.

— თამაშის შემდეგ ფეხბურთელებმა თუ ისაუბრეთ ერთმანეთში?

— მატჩის შემდეგ ერთმანეთთან სასაუბრო დრო არ გვქონდა, ყველა კლუბში იყო დასაბრუნებელი. თუმც საუბარიც არ იყო საჭირო — ყველას სახეზე ეტყობოდა უკმაყოფილება. დარწმუნებული ვარ, ყველა თავის თამაშს აუცილებლად გაუკეთებს ანალიზს და მომდევნო მატჩებს ისე ვითამაშებთ, რომ ხალხის ნდობა და სიყვარული დავიბრუნოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# უმაღლესში უპლეიოფოდ
## კიკნაძე-ზამთარაძე: ახალი გამოცდილება

**გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ თბილისის „ლოკომოტივს" მწვრთნელთა ახალი გუნდი ჩაუდგება სათავეში — მთავარი მწვრთნელი გიორგი კიკნაძე და მისი თანაშემწე ზაზა ზამთარაძე. „ლოკომოტივი" თოთხმეტგუნდა ეროვნულ ჩემპიონატში ახლა მე-11 ადგილზეა და უსაფრთხო ზონაში ნამდვილად არ არის — მე-12 ადგილზე გასულს ხომ პირველი ლიგის მესამეადგილოსანთან მოუწევს ბრძოლა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. ლოკომოტიველთა ახალ დამრიგებელ გიორგი კიკნაძეს გუშინვე ვესაუბრეთ...**

— რა ვადით გააფორმეთ კონტრაქტი „ლოკომოტივთან"?

— გუნდს სეზონის ბოლომდე ვუხელმძღვანელებ. „ლოკომოტივი" ახლა მძიმე მდგომარეობაშია, მხოლოდ ორი ქულით უსწრებს მე-12 ადგილზე მყოფ „ჩიხურას" და ჩვენი ამოცანაა, გადათამაშების გარეშე დავრჩეთ უმაღლეს ლიგაში.

— ამ მხრივ გადამწყვეტი მატჩი მალევე გელით...

— ასეა, 7 აპრილს „ჩიხურას" ვმასპინძლობთ და ყველაფერს გავილებთ მოსაგებად.

— თქვენ და ზამთარაძე პირველ წრეში ლიდერ „ოლიმპს" წვრთნიდით, მერე „ტორპედოს", ახლა კი უმაღლესში დარჩენისთვის მებრძოლი „ლოკომოტივი" ჩაიბარეთ...

— მართალია, ამ მოკლე ხანში განსხვავებული ამბიციების მქონე გუნდების გაწვრთნა გვიწევს, მაგრამ „ლოკომოტივის" მწვრთნელობა ჩემთვისაც და ზამთარაძისთვისაც ძალიან საინტერესო და კარგი იქნება — ახალ გამოცდილებას შევიძენთ.

— „ლოკომოტივის" 16 წლის ლიდერი ლევან ყენია თქვენი დისშვილია. ის ტრავმირებულია და როდის შეძლებს მოედანზე გასვლას?

— მას მუხლის მყესი აქვს დაჭიმული, ტრავმა სერიოზული არ არის, თუმც „ჩიხურასთან" მისი თამაში სათუოა.

**დავით თავართქილაძე**


იარე უმაღლესი ლიგის თამაშებზე

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში

ჯეკპოტი გახდა 6000 ლარი!!!

ჩვენი ბიჭები თქვენი მოგებაა!

ბილეთის ფასი 2 ლარი




საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საინფორმაციო მხარდამჭერი

ოლიმპი სარბიელი


7 აპრილი, მე-19 ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპი - ბორჯომი | ტორპედო - ამერი |
| მერანი - ვიტ ჯორჯია | სპარტაკი (ნალჩიკი) - რუბინი |
| ლოკომოტივი - ჩიხურა | ფრაიბურგი - აუგსბურგი |
| ზესტაფონი ბათუმი | ფიურტი - კარლ ცაისი |
| კახეთი - დინამო (თბ.) | მიუნხენ 1860 - კარლსრუე |
| სიონი - დილა | |

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
XXVII ტური
ლაუტერნი 0:3 დუისბურგი

### იტალია
სერია C1/B. XXVIII ტური
ტერამო 0:2 გალიპოლი

### უკრაინა
ვიშა ლიგა. XX ტური
მეტალურგი (დ) 3:3 კარპატი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა
XX ტური
სპარტა 4:1 ბოლესლავი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXIII ტური
სპორტინგი 2:0 ბეირა მარი

### არგენტინა
კლაუსურა. VIII ტური
სან ლორენსო 1:0 ლანუსი

### ინგლისი
პრემიერლიგა. XXXI ტური
ასტონ ვილა 1:1 ევერტონი

### საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
XXX ტური
რეიმსი 3:2 ლე ავრი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა
XXII ტური
ზალაეგერსეგი 3:2 პონვედი

### თურქეთი
სუპერლიგა
XXVI ტური
ერჯიესი 0:1 ტრაბზონი
გენჩლერი 0:2 ბეშიქთაში

### მექსიკა
კლაუსურა
XIII ტური
ამერიკა 2:0 კერეტარო
ტეკოსი 2:2 უნამი

# საქართველოს ჩემპიონატი 18

უმაღლესი ლიგა II წრე. 18 ტური



„დინამო“ — „სიონი“. იყო, არ იყო... სადავო პენალტი ბოლნისელთა კარში

# სამნი შუაში სამით

**მსაჯობა** — მოდით, ნუ გავიკვირვებთ, რომ ეს თემა ქართულ ფეხბურთში წარამარა ტრიალებს. საქართველოსაზე ბევრად ძლიერ ჩემპიონატებშიც კი მსაჯების იმგვარ ლაფსუსებს წააწყდები, გაკვირვებისგან პირს დააღებ. მაგრამ ამით რა, გულზე ხელი დავიკრიფოთ და რას ამბობს მომჩივანი, არ ვთქვათ?..

მეთვრამეტე ტურის მთავარი თამაში სადაც იყო, იქ იყო თემიდისადმი გულისწყრომაც. „დინამომ“ „მიხეილ მესხზე“ სანდრო იაშვილის ბოლო წუთზე გატანილი პენალტით მოუგო „სიონს“ და ბოლნისელთა პროტესტიც ამ თერთმეტმეტრიანს მოჰყვა — დინამოელმა მიხეილ ხუციშვილმა მას შემდეგ გამოიმუშავა პენალტი, რაც იაშვილს ხელზე მოხვდა ბურთიო. „დინამოს“ ყოფილი და „სიონის“ ამჟამინდელი თავკაცი კახა ცხადაძე საფინალო სასტვენს არ დალოდებია, პენალტის დანიშვნისთანავე გასახდელს მიაშურა...

დუშან უჰრინის გუნდმა თამაშით კი აჯობა სტუმრებს, მაგრამ მეორე ტაიმში ორი ისეთი მომენტი იყო, „სიონის“ გამარჯვება არავის გაუკვირდებოდა: ჯერ ლევან კორღალიძის გოლი გაუქმდა, მერე კი ვიტალი დარასელიას დინამოელთა საჯარიმოში წაქცევა დარჩა მსაჯის რეაქციის გარეშე.

„მსაჯობაზე არაფერს ვამბობ, ასე მითხრეს და იმიტომ“ — თქვა ნამატჩევს ცხადაძემ. უჰრინმა კი „სიონის“ მეკარე ზურაბ მამალაძის კარგ თამაშს გაუსვა ხაზი და კორღალიძის გაუქმებულ გოლზეც თქვა, მგონი, ჯარიმა იყო და ამიტომაც არ ჩათვალა მსაჯმაო.

აი, „ზესტაფონი“ „ჩიხურასთან“ უგოლო ფრეს მსაჯს კი არა, კარს აბრალებს — გორის „ქართლზე“ არასტანდარტული მოედანი და პატარა კარი იყო, ბარემ მინისტადიონზე ექვსი-ექვსზე ვითამაშოთო. წინა სეზონში „ქართლზე“ „ცხინვალი“ ბურთაობდა და მაშინ არავის ეპატარავა თვალში სტადიონი, ახლა კი...

ფეროელთა ვერმოგებით კი ცხრილში ასეთი ვითარება შეიქმნა: თემურ მახარაძის გუნდი მესამე ადგილზეა და სამ ქულას აგებს „დინამოსთან“, რომელიც ასევე სამით ჩამორჩება ლიდერ „ოლიმპს“. რუსთაველებმა „მერანს“ ოდენ კინკილა გოლით მოუგეს და ისიც თბილისელთა მცველის ავტოგოლით.

საჩემპიონო ნიშნულისკენ სვლა შეანელა „ამერმა“. გიორგი ჩიხრაძის ბიჭებს ბორჯომში ბლომად შანსები კი შეექმნათ, მაგრამ ვერ გაიტანეს და აქეთ მიიღეს — მიხეილ კაკალაძის პენალტმა თორელებს სენსაციური გამარჯვება მოუტანა.

„ვიტ ჯორჯიამ“ ზესტაფონში წაგებული 0:5-ისთვის „ლოკომოტივზე“ იყარა ჯავრი და სამი უპასუხო ბურთი გაუტანა, ხოლო კარგ ფორმაში მყოფ „ბათუმს“ ირაკლი ტულუშის ჰეთ თრიქი შეეშველა მოგებაუნახავ „კახეთთან“.

თელაველებისგან განსხვავებით, პირველი მოგება ნახა გორის „დილამ“, რომელმაც „ტორპედო 2“ და „ტორპედო 3“-ის ყმაწვილებით მოთამაშე „ტორპედოს“ აჯობა.

**ილია ნანობაშვილი**

**მეცხრამეტე ტური**

7 აპრილი, შაბათი
ოლიმპი – ბორჯომი
მერანი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ჩიხურა
ზესტაფონი – ბათუმი
კახეთი – დინამო
სიონი – დილა
ტორპედო – ამერი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 11-ფოფია | ზესტაფონი |
| 10-ბელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იაშვილი | დინამო |
| 8-დვალიშვილი | ოლიმპი |
| 7-ტატანაშვილი | ამერი |
| დოლიძე | ამერი |
| ზ. დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იონანიძე | ზესტაფონი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 43:6 | 45 |
| დინამო | 18 | 14 | 0 | 4 | 36:13 | 42 |
| ზესტაფონი | 18 | 11 | 6 | 1 | 32:6 | 39 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 11 | 4 | 3 | 38:23 | 37 |
| ამერი | 18 | 11 | 4 | 3 | 33:12 | 37 |
| სიონი | 18 | 9 | 2 | 7 | 22:16 | 29 |
| ტორპედო | 18 | 8 | 4 | 6 | 18:16 | 28 |
| ბათუმი | 18 | 6 | 4 | 8 | 19:18 | 22 |
| ბორჯომი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:27 | 20 |
| მერანი | 18 | 4 | 5 | 9 | 14:30 | 17 |
| ლოკომოტივი | 18 | 4 | 4 | 10 | 12:26 | 16 |
| ჩიხურა | 18 | 3 | 5 | 10 | 11:27 | 14 |
| დილა | 18 | 1 | 3 | 14 | 10:45 | 6 |
| კახეთი | 18 | 0 | 1 | 17 | 13:54 | 1 |

**სიმბოლური ნაკრები**

გიორგი ბერიაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
სანდრო იაშვილი — *დინამო*
ირაკლი ტულუში — *ბათუმი*
გიორგი მერიგაშვილი — *დინამო*
კახა მახარაძე — *ჩიხურა*
შოთა გრიგალაშვილი — *ბორჯომი*
გიორგი ნავალოვსკი — *ოლიმპი*
რევაზ ძმოკლიძე — *ჩიხურა*
დავით მიგაური — *ჩიხურა*
სერგო ორბელაძე — *სიონი*
ზურაბ მამალაძე — *სიონი*

# იმერული აჯაფსანდალი ქართლში

## პროტესტმა უქმე არ იცის

**„ზესტაფონმა“** პროფლიგაში პროტესტი დადო. ბოლო ტურის მატჩი „ჩიხურა“ — „ზესტაფონი“ გორში, „ქართლის“ სტადიონზე გაიმართა. როგორც იმერლები ამტკიცებენ, ორივე კარის სიმაღლე დასაშვებ ნორმაზე დაბალი იყო და ახლა მატჩის გადათამაშებას ითხოვენ. საჩხერელებთან დაკარგულმა ორმა ქულამ ზესტაფონელებს საჩემპიონო შანსები შეუმცირა და ამ მატჩის გადათამაშება მათთვის მისწრება იქნება. ფეროელებს კი, როგორც თავად ამბობენ, ამის დამამტკიცებელი საბუთები და გადათამაშების მოთხოვნის სრული უფლება აქვთ...

*სერგო ფუტკარაძე, „ზესტაფონის“ პრესსამსახურის უფროსი:* „ჩვენი მეკარე გრიგოლ ჭანტურია როგორც კი კარში ჩადგა, მაშინვე თქვა, რომ ზომები ეპატარავა. კარის ჩარჩოს გაზომვა მოვითხოვეთ, მაგრამ არავინ არაფერი ილონა და ვითამაშეთ. ასე რომ არ გვექნა, ტექნიკურ წაგებას ჩაგვითვლიდნენ. მატჩის შემდეგ კი დამკვირვებელთან და დელეგატთან ერთად კარის ჩარჩო გაიზომა და ამის ვიდეომასალაც მოგვეპოვება, თუმც მისი შედეგები ოქმში არ შეიტანეს, ამის უფლება არ გვაქვსო. კლუბს არანაირი პრეტენზია არ აქვს მატჩის მსაჯებთან, ანაც იმ უხარისხო საფართან, რომელიც „ქართლის“ სტადიონზეა. არასტანდარტული ზომების გამო კი სრული უფლება გვაქვს, გადათამაშება მოვითხოვოთ“.

თუ ეს ფაქტი მართლაც დამტკიცდა, გადათამაშება გამორიცხული არ არის. ასეთი ფაქტი ფეხბურთის ისტორიაში თვით უეფას თასის გათამაშების დროს დაფიქსირდა. მოსკოვის „სპარტაკისა“ და შვეიცარიული „სიონის“ შეხვედრისას „ლუჟნიკის“ კარის ჩარჩო დასაშვებზე მაღალი აღმოჩნდა და „სიონმაც“ მატჩის გადათამაშება მოითხოვა — უეფამ შვეიცარიელთა მოთხოვნა დააკმაყოფილა.

რა აზრისაა ზესტაფონელთა პროტესტზე პროფლიგა, ამის გასარკვევად საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე *ნოდარ კაკულიას* დავუკავშირდით...

— პროტესტი 24 საათის განმავლობაში უნდა შემოვიდეს, რაც „ზესტაფონს“ არ გაუკეთებია. ამასთან, მარტო ერთი გუნდის მიერ გაზომილი კარით როგორ უნდა ვიმსჯელოთ. ამისთვის უნდა შეიქმნას კომისია, თან ყოველი შეხვედრის წინ მსაჯები კარის ჩარჩოს ზომავენ, მაგრამ შეიძლება, ... [illegible] ... ან ატალახებული მინდორი მცირეოდენ ცდომილებას იძლევა. თუ ასეთი ფაქტი შეამჩნიეს, მაშინ მსაჯებისთვის თამაშის დაწყებამდე უნდა მიემართათ და ჩარჩო აუცილებლად გაიზომებოდა.

— **ზესტაფონელები ამტკიცებენ, რომ მათ მსაჯს თამაშის დაწყებამდე მიმართეს...**

— ასეთი ინფორმაცია ჩვენამდე არ მოსულა, თუ მათი მოთხოვნა მართლა არ შესრულდა, მაშინ ეს კიდევ ცალკე განხილვის თემაა.

— **მათივე თქმით, კარის ჩარჩო მატჩის შემდეგ დამკვირვებელ ოთარ გუნთაძესთან ერთად გაიზომა, მაგრამ ცდომილება ოქმში არ დაფიქსირდა. როგორც ზესტაფონელებს უთხრეს, ამის უფლება არ ჰქონდათ...**

— მაშინ პირდაპირ ჩვენთან უნდა დაერეკათ. მაგრამ ოთარ გუნთაძე გამოცდილი სპეციალისტია და ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა.

— **ზემოთ ახსენეთ, პროტესტი 24 საათში უნდა შემოვიდესო, ეს დრო კი უქმეებს დაემთხვა...**

— დებულებაში მითითებული არ არის სამუშაო და უქმე დღე.

— **მაშინ რა უნდა ქნან?**

— დაგვირეკონ. რომელიმე ჩვენგანი მივა სამსახურში და გამოვართმევთ.

— **გამოდის, საკითხი დაგვიანების გამო აღარ განიხილება...**

— თუ „ზესტაფონი“ იმ დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენს, რაც ზემოთ ახსენეთ, მაშინ შეიძლება, ჩვენ სიმართლეს არავის დავუკარგავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში პროტესტი დაგვიანებულია...

თავად *ოთარ გუნთაძე* კი მატჩის შემდეგ კარის ჩარჩოს გაზომვაში მონაწილეობას უარყოფს...

— დებულებით, უფლება არ მქონდა, თამაშის შემდეგ კარის ჩარჩოს ზომა შემემოწმებინა, რადგან ეს სტადიონი თავის დროზე კომისიამ ვარგისად ცნო. კარის ჩარჩო გაიზომა სტადიონის ხელმძღვანელობასთან ერთად. შემდეგ მოვიდნენ და მითხრეს, რომ ზომები დარღვეულია, მაგრამ მისი შემოწმება ჩემს კომპეტენციაში არ შედიოდა.

— **არც თამაშის წინ მოუთხოვიათ კარის შემოწმება?**

— არა, თამაშის წინ უკმაყოფილება მხოლოდ მინდვრის საფარის გამო გამოთქვეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიონმა ხელი ვერ ჩასჭიდა

## დინამოსთან მსაჯობას მსაჯები განიხილავენ

**ბოლნისის** „სიონის“ ხელმძღვანელობამ „დინამოსთან“ წაგებული მატჩის მსაჯობის გასაპროტესტებლად ფეხბურთის ფედერაციას გუშინ 1000 ლარითა და საპროტესტო წერილით მიაკითხა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და გულის მოსაფხანად ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების დღევანდელი სხდომის შედეგს დაელოდება.

სადისციპლინო კომიტეტმა სიონელთა პროტესტი არ მიიღო, რადგანაც ჩემპიონატის რეგლამენტში შავით თეთრზე წერია, რომ დანიშნულ თუ არდანიშნულ პენალტზე, გოლზე თუ არჩათვლილ გოლზე და ზოგადად მსაჯების შეცდომებზე გუნდებს ჩივილის უფლება არ აქვთ. ბოლნისელებს კი პრეტენზიები სწორედ მსაჯობასთან, „დინამოს“ სასარგებლოდ დანიშნულ პენალტზე და „დინამოს“ კარში არჩათვლილ გოლზე ჰქონდათ.

მოკლედ, ბოლნისელები ფედერაციას პროტესტის შესატანად თითქოს ყველანაირად მომზადებულები მიადგნენ, მაგრამ არ ჰქონდათ ხელჩასაჭიდი, ის, რაც „სიონს“ მატჩის გაპროტესტების საფუძველს მისცემდა. ფეხბურთის ფედერაციაში კი სიონელებს უპასუხეს, რომ „დინამოსთან“ მატჩისას მომხდარ ამბებს მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტი განიხილავს. ბოლნისელთა თქმით, მატჩის არბიტრ დავით ხარიტონაშვილს უკიდურეს შემთხვევაში შესაძლოა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცენ.

**კობა ინასარიძე**

# რა თქვა ტოპმიოლერმა განსაკუთრებული?

## არველაძე მუხლზე, ვერდერზე და ყატარზე ფიქრობს

„ალკმაარის" 34 წლის ფორვარდ შოთა არველაძისთვის 2006-07 წლების სეზონი წარმატებულად მიდის — ხუთი გოლი ეროვნულ ნაკრებში, შეიდი უეფას თასზე, გასულ უქმეებზე კი არველაძემ მეთოთხმეტე გოლი გაიტანა ჰოლანდიის ჩემპიონატში „ვალვაიკთან".

— შოთამ 24 მარტს ევროშესარჩევში შოტლანდიასთან 26-ე სანაკრებო გოლი გაიტანა — კრეიგ გორდონს გამთანაბრებელი შეუგდო, თუმც საქართველომ მაინც წააგო 1:2. ოთხი დღის შემდეგ ფარერებს შინ 3:1 რომ მოვუგეთ, არველაძეს მტკივანი მუხლის გამო არ უთამაშია და კლუბშიც, ასე ვთქვათ, გამოზომილად ათამაშებენ...

— „ვალვაიკთან" 65-ე წუთზე შეგცვალეს — ალბათ „ალკმაარის" მწვრთნელი ლუის ვან გაალიც ითვალისწინებს შენი მუხლის მდგომარეობას...

— „ვალვაიკთან" საერთოდ არ ვაპირებდი თამაშს, მაგრამ მწვრთნელმა მითხრა, წინ ისეთი მნიშვნელოვანი მატჩები გველის, რიტმიდან არ უნდა ამოვარდეო. მუხლი ოქტომბრის შემდეგ ასე თუ ისე ნორმალურად მქონდა, მაგრამ ახლა ისევ ამტკივდა და ყველანაირად ვცდილობთ, ისე არ გადაიტვირთოს, თამაში ველარ შევძლო.

— „ალკმაარი" ახლა მესამე ადგილზეა და თქვენთვის მთავარი მიზანი ალბათ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა...

— ორი ქულით მეტი რომ გვქონდეს, ჩემპიონობაზე სერიოზულად ვიფიქრებდით, ახლა კი პირველადგილოსან პსვ-ს ხუთი ქულით ჩამოვრჩებით და ოთხ ტურში ასეთ ჩამორჩენას ალბათ ვერ ამოვქაჩავთ. ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის კი მე-2-მე-5 ადგილებზე გასული გუნდები იბრძოლებენ პლეი ოფში.

— ზემოთ მნიშვნელოვანი თამაშები ახსენე — ჩემპიონთა ლიგის საგზური ერთია და, უეფას თასზეც აგრძელებთ ბრძოლას...

— ბრემენის „ვერდერთან" მეოთხედფინალის პირველი მატჩი 5 აპრილს გვაქვს და ყველანაირად ვცდილობთ, ეს შეხვედრა არ გამოვტოვო. „ვერდერმა" მერვედფინალში „აიაქსს" 3:0, 1:3 აჯობა, თუმც ამსტერდამელებმა შინ იმდენი საგოლე მომენტი შექმნეს, მინიმუმ ხუთი გოლი უნდა გაეტანათ. ვფიქრობ, „ალკმაარს" და „ვერდერს" შორის კლასში მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის, თუმც ბრემენელები ფინანსებით, ტრადიციებით და გამოცდილებით მაღლა დგანან, მაგრამ დაახლოებით ასეთი ვითარება იყო „ფენერბაჰჩესთან" და „სევილიასთან", რომელთაც მოვუგეთ.

— ნაკრებზე გადავერთოთ. რა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ შოტლანდიასთან დავმარცხდით?

— ინდივიდუალური შეცდომები, თორემ გუნდური თამაშით შოტლანდიელებს ჩვენთვის არ უჯობნიათ. ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ლევან კობიაშვილმა ცუდად ითამაშა, მაგრამ მარცხი მისი ბრალი არ არის, ის წამითაც არ გაჩერებულა, სულ მოძრაობდა. შესაძლოა, ცუდად ითამაშო, მაგრამ შენი გასაკეთებელი საქმე უნდა გააკეთო, ჩვენთან კი რამდენიმე ფეხბურთელი საერთოდ ვერ ჩაჯდა თამაშში და ჩვენი მარცხიც ყველაზე უფრო ამან განაპირობა.

— უკვე საბოლოოდ გადაწყვიტე რომ ამ შესარჩევის შემდეგ ნაკრებში აღარ ითამაშებ?

— ასეა და ამ შესარჩევში კიდევ რამდენ მატჩს ვითამაშებ, ეს პირველ რიგში ჩემს ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

— ფეხბურთელის კარიერას კი 2007-08 წლების სეზონის შემდეგ დაასრულებ?

— არის ლაპარაკი იმაზე, რომ მომავალი სეზონისთვის „ალკმაარი", რომელთანაც კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს, დავტოვო და ყატარში წავიდე სათამაშოდ. ყატარიდან კი ნაკრებში ნამდვილად აღარ ჩამოვალ. თუ კიდევ რამდენ ხანს ვითამაშებ, ამას ახლა ზუსტად ვერ გეტყვით, ყველაფერი ისევ, და ისევ ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

— დიდი რეზონანსი მოჰყვა კლაუს ტოპმიოლერის განცხადებას — საქართველოს ჩემპიონატში არ არის ის ხარისხი, ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებისთვის რომ გამოიწრთოს, ნიჭიერი ახალგაზრდები ევროპულ კლუბებში უნდა წავიდნენ და იქ დაიხვეწონ სანაკრებოდო — როგორია შენი აზრი ამ საკითხზე?

— ვფიქრობ, ტოპმიოლერის ამ განცხადებაში შეურაცხმყოფელი არაფერი ყოფილა. მაინც რა თქვა ტოპმიოლერმა განსაკუთრებული? განა ყველამ არ ვიცით, რომ რეალურად ვითარება მართლაც ასეა?! როცა კარგი მონაცემების მქონე ფეხბურთელი 23-24 წლისაა და ისევ საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს, ის წინ ველარ წავა. სანამ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის დონე არ აიწევს, ასე იქნება, ჩემპიონატის გაუმჯობესებას კი წლები სჭირდება.

— და მიგაჩნია, რომ ოცი წლის ნიჭიერი ფეხბურთელი უცხოეთში უნდა წავიდეს?

— მე და აჩი, გიო ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, კახა კალაძე — ჩვენ ამ ასაკში წავედით უცხოეთში და ვინც ასე არ მოიქცა, რომელმა ითამაშა მაღალ დონეზე?! დემეტრაძე, კობიაშვილი, იაშვილი — ისინიც დაახლოებით ამ ასაკში წავიდნენ საქართველოდან. ახლა ქართველი ფეხბურთელები ისეთ გუნდებშიც მიდიან, მათ დასახელებას პირველად რომ ვიგებ, ჩვენები აზერბაიჯანის ჩემპიონატშიც კი მიდიან იმიტომ, რომ საქართველოს ჩემპიონატს ძალიან ბევრი რამ აკლია...

**დავით თავართქილაძე**




## ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **იტალია. სერია A** | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | რომა 1:1 | 0 | | 12 | 1 | 6 |
| | | | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ბაიერნი 0:2 | 90 | | 22 | 3 | 1 |
| | | | **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | ს | აუგსბურგი 0:3 | 90 | | 23 | 3 | 8 |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი | შ | ჰანზა 1:2 | 90 | | 8 | 0 | 14 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | შ | ჰანზა 1:2 | 90 | გოლი | 8 | 4 | 14 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბრაუნშვაიგი 2:0 | 90 | გოლი | 24 | 8 | 4 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ბრაუნშვაიგი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 1 | 4 |
| მათე ღვინიანიძე | მიუხენ 1860 | ს | ესენი 2:0 | 10 | შეცვლაზე შევიდა | 13 | 0 | 10 |
| | | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | მანჩესტერი 1:4 | 0 | | 17 | 0 | 10 |
| | | | **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | ვალვაიკი 2:0 | 65 | გოლი, შეცვალეს | 26 | 13 | 3 |
| | | | **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | | ტური არ გამართულა | | | 15 | 2 | 6 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | | ტური არ გამართულა | | | 19 | 0 | 10 |
| | | | **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | მეტალისტი 2:0 | 0 | | 5 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | მეტალისტი 2:0 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 1 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | შ | დნიპრო 1:1 | 75 | შეცვალეს | 10 | 2 | 7 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | ს | კრივბასი 1:1 | 90 | | 15 | 4 | 11 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | კრივბასი 1:1 | 0 | | 15 | 3 | 11 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | არსენალი 1:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 16 | 4 | 3 |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო | ს | არსენალი 1:1 | 0 | | 3 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | მ. ზაპოროჟიე 1:1 | 90 | გოლი, პენალტი გააცუდა | 20 | 10 | 8 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | შ | მ. ზაპოროჟიე 1:1 | 90 | | 18 | 1 | 8 |
| გიორგი ჭელიძე | ზარია | შ | ჩერნომორეცი 0:4 | 22 | შეცვლაზე შევიდა | 3 | 0 | 15 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | ზარია 4:0 | 0 | სათადარიგო | 17 | 0 | 6 |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩევეცი | შ | შახტარი 1:1 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 14 |
| | | | **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი | ს | ტომი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 14 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ხიმკი 2:1 | 0 | | 2 | 0 | 11 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | ხიმკი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 11 |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | მოსკვა 0:0 | 0 | | 2 | 0 | 5 |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ცსკა 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 9 |
| ალეკო ამხულაშვილი | ნალჩიკი | ს | ყუბანი 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 3 | 0 | 15 |
| ლევან გვაზავა | ნალჩიკი | ს | ყუბანი 2:2 | 13 | შეცლაზე შევიდა | 3 | 0 | 15 |
| | | | **დანია. სასლიგა** | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | ს | ნორდსიელანდი 1:3 | 90 | | 5 | 0 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*





# გაჭედილები
## ლიფტში ვაი მაურინიუსთან და უი ფერგიუსონსთან ერთად

**ამას** წინათ შვეიცარიაში გამართულ წვეულება-ზე ჟურნალისტებმა ლონდონის „არსენალის“ ფრანგ თავკაც არსენ ვენგერს ჰკითხეს: „ვისთან ერთად ისურვებდით ორი საათით გაჩერებულ ლიფტში ყოფნას, ჟოზე მაურინიუსთან თუ ალექს ფერგიუსონთან?“

ფრანგმა კითხვას კითხვითვე მიუგო: „ლიფტს სათადარიგო გასასვლელი არა აქვს?“

**ვაჟა ხუციშვილი**

# ს-კან-დალი: დაარტყა თუ არა?




**„შალკესთან“** 2:0 მოგებულ მატჩში მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი წყობიდან გამოვიდა და მეტოქე სორენ ლარსენს ეძგერა.

ეს ეპიზოდი მსაჯმა გაძევებად არ შეაფასა, რამაც „შალკეს“ მწვრთნელი მირკო სლომკა აღაშფოთა: „ნებისმიერი სხვა მეკარე წითელ ბარათს მიიღებდა, „ბაიერნს“ და განსაკუთრებით კანს კი რატომღაც ასეთ რამეებს პატიობენ“.

68-ე წუთი იყო. საჰაერო ორთაბრძოლისას ლარსენმა კანს მკლავი მოარტყა კისერზე. მიწაზე დაშვებისას კი მეკარე მას ორივე ხელით სწვდა და მიწაზე დააგდო.

ჰერბერტ ფანდელმა ეს მომენტი ყვითელ ბარათად შეაფასა.

„მას ლარსენისთვის არ დაურტყამს“ — განაცხადა ფანდელმა ნამატჩევს.

თუმცა, მოდით, „შალკეს“ მენეჯერ ანდრეას მიულერსაც მოვუსმინოთ: „უდიდესი თვალთმაქცობაა! ლინკოლნს ასეთი საქციელისთვის 5 თამაში გამოატოვებინეს. ბატონ ფანდელს კი ძალა არ ეყო, კანის გასაძევებლად“.

ოლივერ კანს თვით „ბაიერნის“ პატრონმა ფრანც ბეკენბაუერმა შეუტია: „არ ვიცი, რა სჭირს მას. ეს ილეთები კრივს უფრო ეკუთვნის, ვიდრე ფეხბურთს“.

მოკლედ, გერმანიაში კანი და სკანდალები გრძელდება...

**ნინო სილაგაძე**

# კოლინი და რუნის ძმა-ბიჭები

**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელ უეინ რუნის საცოლე კოლინ მაკლაფლინს 21 წელი შეუსრულდა და დაბადების დღე დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა.

წვეულებაზე ბევრი ცნობილი სახე დაპატიჟეს და მოქეიფენი გამთენიისას დაშლილან.

რუნების ოჯახი დააფასეს: პიტერ კრაუჩმა და სტივ ჯერარდმა მეუღლეებითურთ, რიო ფერდინანდმა, ჯეიმი კარაგერმა, მაიკლ კარიკმა, მოკრივე რიკი ჰატონმა და, რა თქმა უნდა, შოუბიზნესის წარმომადგენლებმა.

კოლინს „ჰეპი ბერსდეი“ ცნობილმა პოპ-ჯგუფმა „შუგაბეიბიზმა“ უმღერა.

წვეულების ბოლოს სტუმრებს ნამცხვრის ნაჭრები დაურიგეს, რომლებზეც კოლინის სახე იყო მოხატული.

**ბახა შალამბერიძე**

# პოში ინვალიდია თუ ხანდაზმული?

**დიდ** ბრიტანეთში ვიქტორია ბექემი ინვალიდთა უფლებების დარღვევისთვის გააკრიტიკეს. ლოს ანჯელესიდან სამშობლოში ჩაფრენილმა ქკკლუცმა პოშმა, იმისათვის, რათა ლონდონის ჰითროუს აეროპორტში დადარაჯებულ პაპარაცთა არმიას გაქცეოდა, ინვალიდთა და მოხუცთათვის განკუთვნილ სპეცმანქანას სასწრაფოდ მიაშურა და მასზე ამხედრებულმა დატოვა იქაურობა.

მართალია, პაპარაცები პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ, მაგრამ ვიკას საქციელმა მთელი ინგლისი გააბრაზა.

გაერთიანებული სამეფოს ინვალიდთა უფლებების დამცველი საბჭოს წევრებმა დევიდ ბექემის მეუღლის საქციელი „შემაძრწუნებლად“ მონათლეს და განაცხადეს, რომ ვიქტორიამ იმ მანქანით ისარგებლა, რომლითაც აუცილებლობის შემთხვევაში ინვალიდები და მოხუცები უნდა გადაეყვანათ.

მოგახსენებთ, რომ ჰითროუს აეროპორტს ასეთი სპეცმანქანა სულ ორი ჰყოლია და აქედან ერთი პოშმა თავისი სურვილისამებრ აგელვა.

ისტორიულად კი, ინვალიდთა და ხანდაზმულთა უფლებები მარტო ბექემის მეუღლეს არ გაუთელია — სხვადასხვა დროს აეროპორტებში სპეცმანქანებით პოლ მაკარტნიმ, ელტონ ჯონმა, რობი უილიამსმა და ბრიტნი სპირსმა „აჯირითეს“.

მოგვიანებით, ყველა „დამნაშავემ“ აღნიშნა, პაპარაცების ზღვა წალეკვით გვემუქრებოდა და აეროპორტიდან ასე ექსტრემალურად ამიტომ გამოვიქეცითო...

**ლადო ხომერიკი**



# იტალიის კალჩოს თავი დაადგირსეს



**რომში** გამართულ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ჯანკარლო აბეტემ იმარჯვა — იგი ერთადერთი კანდიდატი იყო და ხმათა უმრავლესობაც უპრობლემოდ მიიღო.

აბეტემ ფრანკო კარარო შეცვალა, ვინც შარშან მაისში დატოვა ეს თანამდებობა და მას შემდეგ იტალიურ ფეხბურთს ოლიმპიური კომიტეტის კომისიონერი ხელმძღვანელობდა.

„უნდა გავიხედოთ წინ და არ უნდა შეგვეშინდეს იმის, რაც ადრე იყო — განაცხადა ახალარჩეულმა პრეზიდენტმა — ისიც გავიხსენოთ, რომ ფეხბურთი იტალიაში არამარტო სპორტის სახეობაა, არამედ, ფინანსურად მომგებიანი საქმეა.“

**ბახა შალამბერიძე**

## ჯიბეები გასქელდა

**მოსკოვურ** დერბიში „ლოკომოტივის“ 2:0 დამარცხებისთვის ცსკას თითოეულ ფეხბურთელს 35 ათასი ევრო აჩუქეს. გამარჯვებულები გულუხვად იმიტომ დააჯილდოვეს, რომ სამი წლის განმავლობაში ვერ მოეგოთ „ლოკოსთვის“. ასეთი პრემია ვალერი გაზაევის შეგირდებს ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის მატჩებშიც კი არ მიუღიათ.

## ძველი სჯობდა

**„სანის“** ცნობით, შესაძლოა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ აღმასრულებელ დირექტორს ნაკრების მწვრთნელის დანიშვნის უფლება ჩამოართვას. ეს საკითხი ევრო 2008-ის შესარჩევში ინგლისელთა სუსტმა თამაშმა წამოატივტივა და ამჟამინდელი დირექტორის ბრაიან ბერვიკის პოზიციები შეარყია.

ადრე მწვრთნელს საგანგებო კომიტეტი ნიშნავდა, მაგრამ შვიდი წლის წინ ძალაუფლება ხელთ მაშინდელმა აღმასრულებელმა ადამ კროზიემ იგდო და სწორედ მან მიიყვანა ნაკრების თავკაცად სვენ გორან ერიკსონი. ერიკსონმა ინგლისს ვერაფერი მოაგებინა, 25 მილიონი გირვანქა ჩაიჯიბა და წავიდა. სტივ მაკლარენი კი ბერვიკის დანიშნულია და ვერც ის ამართლებს. ამიტომ აპირებენ ძველებურ ყაიდაზე გადასვლას, როცა ნაკრების თავკაცს კომიტეტი ნიშნავდა.

## გუსი რუსი რომანისთვის

**„ჩელსი“** კვლავაც დაინტერესებულია გუს ჰიდინკით, რომელიც მწვრთნელად კი არა, გენერალურ მენეჯერად უნდა. ჰოლანდიელმა მწვრთნელსა და კლუბის პატრონს შორის შუამავლის როლი უნდა იკისროს. ადრე ვარაუდობდნენ, რომ ამ თანამდებობას „ჩელსის“ სპორტული დირექტორი ფრანკ არნესენი ჩაიბარებდა, მაგრამ მისი და მაურინიუს ურთიერთობა ძაღლ-კატისას დაემსგავსა.

## ეს ბიჭი ჩვენთვის გვინდა

**„ლივერპულმა“** უარი უთხრა „ასტონ ვილას“ კრეიგ ბელამის მიყიდვაზე. ბირმინგემელები 7 მილიონ გირვანქას იხდიდნენ, მაგრამ გარიგება არ შედგა. თუმცა „ტუტოსპორტის“ ვერსიით, რიისე, მარკ გონსალესი და ბელამი, შესაძლოა, „იუვენტუსში“ აღმოჩნდნენ, თუ ტურინელები სანაცვლოდ დავიდ ტრეზეგეს დათმობენ.

ადრე „იუვე“ ამ გარიგებაში ხაბი ალონსოს და მოჰამედ სისოკოს ჩართვას ითხოვდა, რაც „ლივერპულმა“ იუარა.

## დენის ფასი

**გლაზგოს** „რეინჯერსი“ „ალკმაარიდან“ დანი კოვერმანსის ყიდვას აპირებს. მისი ფასი დაახლოებით 2 მილიონი გირვანქაა. გლაზგოელთა სასურველ ფეხბურთელთა სიაში აგრეთვე არიან: მეკარე როი კეროლი („ვესტ ჰემი“), გარი ნეისმიტი („ევერტონი“), პეტერ ჰანსონი („ჰერენვენი“), სკოტ ბრაუნი („ჰიბერნიანი“), ტოტო ტამუზი („ბეითარი“), დევიდ ჰილი („ლიდსი“) და ნიკლას ბენდტნერი („ბირმინგემი“).

## კოუტუ ამხილეს

**იტალიური** „პარმას“ პორტუგალიელი მცველი ფერნანდუ კოუტუ ოთხი თვე ვერ ითამაშებს — ვეტერანი მცველი ნანდროლონის მოხმარებაში ამხილეს.

დისკვალიფიკაციის გარდა, კოუტუ 4 ათას ევროსაც გადაიხდის.

## ვან გაალი 2010

**ჰოლანდიური** „ალკმაარის“ თავკაცმა ლუის ვან გაალმა კლუბთან კონტრაქტი გააზანგრძლივა. უეფას ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 55 წლის სპეციალისტი 2010 წლამდე უხელმძღვანელებს „ალკმაარს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
### მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. დღეს


კარლო ანჩელოტი „ბაიერნს“ სათანადოდ აფასებს


ოლივერ კანი და მიხაელ რენსინგი


მილანელები ყველაზე მეტად რონ მაკაის უფრთხიან

AFP

# შურისმაძიებელთა შეკვრა ორსახიანთა წინააღმდეგ

**დღეს** „სან სიროზე“ ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი მიუნხენის „ბაიერნი“ ექვსგზის მფლობელ „მილანს“ სტუმრობს და თუ ამ გუნდებს შორის ამ სარბიელზე ჩატარებული ბოლო ოთხი დაპირისპირების მიხედვით ვიმსჯელებთ, წააგებს. მეორე მხრივ კი, რატომ უნდა წააგოს? მერე რა, რომ „მილანი“ სხვაა. „ინტერი“ კი სხვა, განა სწორედ „სან სიროზე“ არ მოიგეს შარშან სექტემბერს მიუნხენელებმა? ეს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე მოხდა. „ბაიერნმა“ 2:0 მოიგო.

თან, მოდით, მაინც და მაინც დიდი დაჟინებით ნუ ვიტყვით, რომ ამ სეზონში „მილანი“ „ინტერს“ სჯობს... თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ბავარიელთათვის სექტემბრის გამარჯვება იტალიის მიწაზე ბოლო 18 წლის განმავლობაში პირველი იყო.

მოკლედ, დავიხლართეთ...

დავანებოთ თავი სტატისტიკას. ამ დღეებში გერმანულ პრესას „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა და ფეხბურთელებმა ბევრი ინტერვიუ მისცეს, რომელთა სტრიქონებში ერთი რამ გამოსჭვივის: შურისძიების სურვილი.

შეგახსენებთ, რომ შარშან გაზაფხულზე, მერვედფინალში, „მილანმა“ „ბაიერნს“ შინ 4:1 დაათია, მიუნხენში კი 1:1-ზე მეტად არ გააქანა.

„იმ წაგების მწარე გემო დღემდე არ გაგვნელებია — ამბობს 37 წლის უკვე ლეგენდარული მეკარე ოლივერ კანი, რომელიც დღეს ვერ ითამაშებს — ჩვენ მართლა გვინდა, მილანელებს მაშინდელისთვის პასუხი გავცეთ და, ვფიქრობ, ამის კარგი შანსი გვაქვს, მით უფრო, რომ ამჯერად პირველი თამაში სტუმრად გვაქვს, მეორე კი შინ“.

| მილანი (იტალია) — ბაიერნი (გერმანია) |
| --- |
| სავარაუდო შემადგენლობები |
| მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო, ინძაგი |
| მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი |
| ბაიერნი: რენსინგი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, ოტლი, ჰარგრივსი, შვაინშტაიგერი, მაკაი, პოდოლსკი |
| მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი |
| მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი) |

კანს, რომელიც „სან სიროზე“ დისკვალიფიკაციის გამო არ იქნება — მადრიდის „რეალთან“ თამაშის შემდეგ დოპინგ-ტესტის კონტროლიორთან კონფლიქტი მოუვიდა — 22 წლის მიხაელ რენსინგი შეცვლის.

რენსინგი, მართალია, კანის მარადმწვანეობის გადამკიდე, სათადარიგო მეკარედ ჩამოყალიბდა, მაგრამ შარშან სწორედ „მილანთან“ მიუნხენური 1:1-ის დღეს იდგა კარში და, ნუ გაიკვირვებთ, რომ დღემდე ეს მისი ერთადერთი მატჩი გახლავთ ჩემპიონთა ლიგაში.

„ვიცი, რომ მაშინდელი თამაში მხოლოდ და მხოლოდ ფრედ დამთავრდა, მაგრამ პირადად ჩემთვის ის სასიამოვნო იყო“ — გულწრფელად ამბობს კანის ჩრდილიდან გამოსვლას დანატრებული გოლკიპერი.

კანის გარდა „ბაიერნს“ არც მარკ ვან ბომელი ეყოლება. ის „რეალთან“ საპასუხო მატჩში გააძევეს და დისკვალიფიცირებულია.

მაგრამ, ასეა თუ ისე, მიუნხენელები მილანში თამაშს მხნედ ხვდებიან და ამაში მათ, რასაკვირველია, შაბათს, ლევან კობიაშვილის „შალკეს“ 2:0 ძლევამ შეუწყო ხელი.

მოგეხსენებათ, „შალკე“ ბუნდესლიგის ლიდერია, რომლის დამარცხებით „ბაიერნმა“ მასთან სხვაობა 6 ქულამდე შეამცირა და ბუნდესსასალათის ხელიდან გამოგლეჯვის შანსი გაიზარდა.

„იმ დღეს ჩვენ ღირსეულად გავიმარჯვეთ — თქვა მიუნხენელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა — ჩვენ ყველაფერი სწორად გავაკეთეთ და თან, „მილანთან“ თამაშის წინ საკუთარი თავის რწმენაში გავძლიერდით“.

და, რასაკვირველია, „ბაიერნის“ გაყოჩაღებისა და გაძლიერების მთავარი მიზეზი მისი მწვრთნელის თანამდებობაზე სწორედ ჰიცფელდის დაბრუნება გახლავთ.

გერმანელთა ქებას არც მილანელთა მწვრთნელი კარლო ანჩელოტი იზიარებს:

„მათ მეტად შეკრული გუნდი ჰყავთ და ძალიან კარგად იციან, როგორ გავარღნენ მოულოდნელი შეტევისთვის. მათი გადაადგილებების 90 პროცენტი რონ მაკაისთვის საგოლე მომენტის შექმნაზეა დამოკიდებული. ის დიდი ფორვარდია. თუ საშუალება იხელთა, გაგიტანს“.

ცნობისთვის: მაკაიმ „შალკესთან“ ზემოხსენებულ შეხვედრაში „ბაიერნის“ შემადგენლობაში მე-100 გოლი გაიტანა.

მილანელთა კაპიტანი, 38 წლის დიადი პაოლო მალდინი კი ამბობს, რომ მის გუნდს მიმდინარე სეზონში ორი სახე აქვს: შიდაიტალიური, რომელსაც კალჩოპოლის სკანდალით დაკლებული ქულების გამო ჩემპიონობის იმედი აღარ აქვს და გარეევროპული, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის იბრძვის.

„სწორედ ახლა უნდა ვაჩვენოთ, თუ რა შეგვიძლია. ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც არასდროს გვითამაშია ამ სეზონში“.

და კიდევ, „მილანს“ დიდებული მცველი ალესანდრო ნესტა დაუბრუნდა.

„სამი თვე მაიამიში გახლდით, სადაც აღდგენით კურსს გავდიოდი — თქვა ვარსკვლავმა, რომელსაც დღეს საღამოს, ალბათ, ვიხილავთ — ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში კი მუხლჩაუხრელად ვმუშაობდი, რათა ფორმა აღმედგინა. ვიცი, ხალხი ეჭვს გამოთქვამს, რომ ძველებურად ველარ ვითამაშებ, მაგრამ გარწმუნებთ, თავს ჩინებულად ვგრძნობ. „რომასთან“ შეხვედრაში მოედანზე დაბრუნება ჩემთვის დიდი შედეგი იყო. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა იტალიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ მარჩელო ლიპის. როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები ქვეყნის პრეზიდენტთან იყვნენ, ლიპიმ მე დამირეკა და სიტყვა მომასმენინა. მან მითხრა, რომ ეს ყველაფერი ჩემთვისაც იყო და ამით გამაცოცხლა“.

მიუნხენის „ალიანს არენაზე“ საპასუხო მატჩი 11 აპრილს ანუ მომდევნო კვირაში გაიმართება. „მილანსა“ და „ბაიერნს“ შორის გამარჯვებული ნახევარფინალში „რომასა“ და „მანჩესტერს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება.

**პაატუნა ძიდია**

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
### მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. დღეს



## ბაიერნი შეფას: მოგვაშორე ეს რუსები!

„მილან“ — „ბაიერნის“ დღევანდელ მატჩს რუსი არბიტრი იური ბასკაკოვი გასჯის.

ეს ამბავი დიდად მნიშვნელოვანი არ იქნებოდა, რომ არა მიუნხენელთა პროტესტი — „ბაიერნის“ ხელმძღვანელმა, ლეგენდარულმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ ძალიან უკმაყოფილოა უეფას გადაწყვეტილებით.

საქმე ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების მერვედფინალში „მილანმა“ „ბაიერნი“ 4:1 დაამარცხა და იმ მატჩის მსაჯი ასევე რუსი, ვალენტინ ივანოვი გახლდათ. მაშინ გერმანიაში რუსის ქმედებებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ჩანს, ეს ამბავი გერმანელებს დღემდე ახსოვთ.

„ძალიან შეშფოთებულები ვართ, რადგან შარშანდელის მერე ჩვენი და „მილანის“ თამაშის განსჯა ისევ რუსს ანდეს. რუსს რომ თავი დავანებოთ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბასკაკოვს ძალიან მცირე გამოცდილება აქვს საერთაშორისო დონეზე“ — განაცხადა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

**კახა შალამბერიძე**



იური ბასკაკოვი

# კაკა: ბაიერნი იმიტომ არის საშიში, რომ ჩვენსავით სუსტია

თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, იტალიური „მილანის“ ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი კაკა დღეს ერთხელაც შეეცდება თავისი შესაძლებლობების წარმოჩენას — მისი „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ მატჩში „სან სიროზე“ მიუნხენის „ბაიერნს“ მასპინძლობს. კაკას პოპულარული გერმანული გამოცემა „ბილდი“ ესაუბრა...



## წარმატების ბრაზილიური რეცეპტი: მხოლოდ ნიჭი ვერაფერს მოგცემს

— როგორ ფიქრობთ, „ბაიერნს“ ახლაც ისევე გაანადგურებთ, როგორც ეს ერთი წლის წინ, 4:1 მოგებულ მატჩში მოახერხეთ?

— ეს უკვე დიდი ხნის ისტორიაა... რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ ახლანდელი თამაშიც ისევე კარგად დასრულდება ჩვენთვის, თუმცა „ბაიერნის“ ძლიერ მეტოქედ არჩათვლა და ზედმეტი თავდაჯერება დიდი შეცდომა იქნება. დამიჯერეთ, ჩვენ მიუნხენელებს ძალიან ვაფასებთ.

— მაგრამ ისიცაა, რომ „ბაიერნი“ ოლივერ კანის გარეშე ითამაშებს...

— კანი უძლიერესი, მეტიც, გენიალური მეკარეა. ის რომ ამ თამაშისთვის დისკვალიფიცირებულია, „ბაიერნს“ ძალიან დიდ სიძნელეებს შეუქმნის. წმინდა სპორტული თვალსაზრისით კი, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ მას ორივე მატჩში ეთამაშა — მაშინ ხომ მოგება უფრო ძვირფასი იქნებოდა.

— თქვენ ახლახან ბრაზილიის ნაკრების შეკრებაზე ლუსიოსთან ერთად იყავით. მან „ბაიერნის“ სუსტი წერტილები ხომ არ გაგანდოთ?

— ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. რა თქმა უნდა, ამ თამაშზე ვისაუბრეთ, მაგრამ ასეთი საკითხები საიდუმლოდ დავტოვეთ. ძალიან მიხარია, უეფამ მასაც რომ არ მისცა დისკვალიფიკაცია. ლუსიო ერთ-ერთი საუკეთესო მცველია მსოფლიოში და მის წინააღმდეგ თამაში ჩემთვის დიდი გამოწვევაა.

— მაინც რაში ხედავთ „ბაიერნის“ სისუსტეებს?

— მე ჩემი გუნდის სისუსტეები უფრო მაინტერესებს. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ მოგებას, თუ მხოლოდ თამაშზე ვიქნებით კონცენტრირებულნი. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ასეთი შემთხვევები არცთუ ისე ხშირი იყო.

— თავის ჩემპიონატში „მილანიც“ ისევე მოისუსტებს, როგორც „ბაიერნი“...

— სწორედ ამიტომ გვრჩება მხოლოდ ჩემპიონთა ლიგა. ამის მოსაგებად ყველაფერს გავიღებთ, მაგრამ ჩვენნაირი სიტუაცია „ბაიერნსაც“ უფრო საშიშს ხდის. მთავარი კი მაინც ისაა, რომ როი მაკაი გამოვთიშოთ.

— და ლუკას პოდოლსკი?

— საუცხოო მოთამაშეა ძლიერი დარტყმით. ის არასდროს უნდა დატოვო უყურადღებოდ. ჩემი აზრით, პოდოლსკის მართლაც შეუძლია, უდიდესი ფეხბურთელი გახდეს.

— რას ურჩევთ მას?

— პოლდის არა აქვს უფლება, ზრდა შეწყვიტოს და აღარ განვითარდეს. მაგრამ ამაში, რა თქმა უნდა, გუნდიც უნდა მიეხმაროს — მას ტიტულები სჭირდება. თუმცა აუცილებელი არაა, ეს ამ სეზონშივე მოხდეს...

— ფაქტია, „ბაიერნს“ თამაშის შემქმნელი ლიდერი აკლია...

— ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია...

— ძველიც გავიხსენოთ: „ბაიერნი“ ადრე გაკვირდებოდათ და ახლაც ძალიან სურს თქვენი შეძენა. ული ჰოენესი და კარლ-ჰაინც რუმენიგე დიდი ხანია, გითვალთვალებენ. როდის გადახვალთ „ბაიერნში“?

— კი მაგრამ, „ბაიერნს“ ხომ არასდროს არ ვუნდოდი... თავის დროზე, „ლევერკუზენის“ შემდეგ საუკეთესო წინადადება „მილანისა“ იყო. ფეხბურთელის ცხოვრება ასეთია — სასურველ კლუბში საჭირო დროს და ზუსტი ნახტომით უნდა მოხვდე. მაშინ 19-20 წლის ვიყავი და ბოლომდე არც მილანელებმა იცოდნენ, რა შემეძლო და რა არა.

— მაინც რატომ არ სურთ მაღალი დონის ვარსკვლავებს ბუნდესლიგაში თამაში?

— ყველა ტოპვარსკვლავს უმაღლეს დონეზე სურს თამაში. გერმანია კი ინგლისის, იტალიის, ესპანეთისა და თითქმის საფრანგეთის შემდეგაა. ალბათ ესეცაა მიზეზი, რომ მიხაელ ბალაკი ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა — ეს ხომ უფრო ძლიერი და კარგი კლუბია, ვიდრე „ბაიერნი“.

— ანუ კაკას ბუნდესლიგაში ვერასდროს ვიხილავთ?

— ამას ბოლომდე არ გამოვრიცხავ — ჯერ ხომ ახალგაზრდა ვარ.

— თქვენი სრული სახელი რიკარდო იზეკსონ დუშ სანტუშ ლეიტეა. და კაკა რას ნიშნავს?

— როცა პატარა ვიყავი, ჩემს ძმას ჩემი სახელის, რიკარდოს წარმოთქმა უჭირდა — ის ყოველთვის კაკას მეძახდა. ახლა ეს ჩემი სამარკო ნიშანია, რომელიც, ფაქტობრივად, ჩემმა ძმამ აღმოაჩინა.

— ბრაზილიელებისთვის ლეგენდარულ 10 ნომერს ატარებთ. ამ ნომრით ბოლოს რონალდინიო თამაშობდა, თუმცა ახლა თქვენ დაგითმოთ...

— ეს უდიდესი პატივია ჩემთვის. რონალდინიომ ბრაზილიური ათიანების ტრადიცია ძალიან კარგად გააგრძელა, ახლა კი ჯერი ჩემზეა. გულახდილად რომ ვთქვა, ნომერს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს — ასევე საკმაო წარმატებით ვთამაშობ „მილანში“ 22 ნომრით.

— საფეხბურთო სამყაროში ბევრი სატრანსფერო ჭორია — ამბობენ, რომ თქვენ მადრიდის „რეალში“ უნდა გადახვიდეთ, რონალდინიო კი „ბარსელონადან“ „მილანში“ გადავა. ხომ ვერ გაგვარკვევთ ამ ყველაფერში?

— „მილანში“ რონისთან ერთად სიამოვნებით ვითამაშებდი — ეროვნულ ნაკრებშიც კარგად ვუგებთ ერთმანეთს. მე „მილანთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გავახანგრძლივე და სხვაგან გადასვლაზე საჭოროც ალარაფერია. მე და ჩემი მეუღლე კაროლინი მილანში თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ.

— უკვე პატარა კაკას ხომ არ ელით?

— ამაზე უკვე ვფიქრობთ და მგონი, მალე მოხდება.

— კაროლინი თქვენს უამრავ თაყვანისმცემელ გოგონებზე არ ეჭვიანობს?

— პირიქით, მას ძალიან უხარია, რომ ბევრს მოვწონვარ...

— მილანური მოდის სამყაროშიც გაერიეთ — ქალაქში თქვენი ბევრი სარეკლამო პლაკატია გამოკრული...

— მოდა ძალიან მიყვარს და ჩემი პოსტერებიც ძალიან მომწონს, მაგრამ მსურს, რომ ხალხის მეხსიერებაში დავრჩე როგორც ფეხბურთელი და არა როგორც მოდელი.

— ამისთვის კი ტიტულები გჭირდებათ...

— საკმარისად ძლიერები ვართ იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალს მივაღწიოთ და არც ისე ადვილად დავთმობთ რამეს, როგორც 2005 წელს. შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატიც უმკაცრესი გაკვეთილი იყო ჩემთვის: მხოლოდ ტალანტი ნამდვილად არაა საკმარისი, სხვა რამეებიც საჭიროა...

# ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. დღეს


რონალდ კუმანი (მარჯვნივ) და მისი თანაშემწე ტონი ბრუნისი

პსვ-ს ბრაზილიელი მეკარე გომესი შვილმა ფლავიომ ავარჯიშა

AFP


რაფაელ ბენიტესის „ლივერპული" ჰოლანდიაში კარგი განწყობით ჩავიდა

AFP

# მესამედ
## ინგლისში კუმანის ნახვა ცუდი სიზმარივითაა

პსვ-ს და „ლივერპულის" გზები კვლავ გადაიკვეთა, ამჯერად მეოთხედფინალში.

ეს გუნდები ჯგუფშიც ერთად იყვნენ — ეინდჰოვენში თამაში უგოლოდ დასრულდა, „ენფილდზე" კი მასპინძლებმა 2:0 მოიგეს.

პსვ-ს ამჟამინდელი მწვრთნელი რონალდ კუმანი „ლივერპულს" შარშან მერვედფინალში პორტუგალიური „ბენფიკით" შეხვდა და ჩემპიონთა თასის მომგები გზიდან ჩამოაცილა.

წილისყრამ ინდომა, რომ ჰოლანდიელი და ესპანელი მწვრთნელების დუელი კვლავ შემდგარიყო.

საერთოდ, კუმანი ინგლისურ კლუბთა „მესაფლავედ" ითვლება. შარშანწინ, როცა „ბენფიკას" თავკაცობდა, ჯგუფში „მანჩესტერი" ჰყავდა და ლისაბონში 2:1 მოუგო, „მანჩესტერი" კი ჯგუფიდან ვერ გავიდა. მერვედფინალიდან „ლივერპულის" გაძევებაზე ზემოთ მოგახსენეთ, წლეულს კი ასევე მერვედფინალიდან გააგდო ლონდონის „არსენალი".

**პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ლივერპული (ინგლისი)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პსვ ეინდჰოვენი:** გომესი, კრომკამპი, და კოშტა, ალსიდესი, სალსიდო, აფელაი, მენდესი, სიმონსი, კოკუ, კლუივერტი, ფარფანი

**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი

**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, არბელოა, პენანტი, ჯერარდი, ხაბი ალონსო, რიისე, ბელამი (ან კრაუჩი), კუიტი

**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი

**მსაჯი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

„არსენალთან" მატჩში გოლის გამტანი მცველი ალექსი ტრავმირებულია და დღეს ვერ ითამაშებს. არ იქნება ფორვარდი არუნა კონეც, ხოლო იბრაჰიმ აფელაის მოედანზე გასვლა საეჭვოა.

რონალდ კუმანის გუნდი ჩემპიონატში ბოლოხანს ცუდად თამაშობს. უშუალო კონკურენტებთან, „აიაქსთან" და „ალკმაართან" შინ დამარცხდა. ყველა ტურნირში ბოლო ექვსი მატჩიდან ერთიც არ მოუგიათ. გასულ უქმეებზე კი სტუმრად „ბრედასთან" აგებდა და ჯეფერსონ ფარფანის გვიანი გოლით გაათანაბრა.

„მართალია, ამჟამად ცუდ ფორმაში ვართ, მაგრამ „ლივერპულს" ორივე მატჩში დიდ ბრძოლას გავუმართავთ" — თქვა რონალდ კუმანმა.

„ბრედასთან" ძირითად შემადგენლობაში იყო პატრიკ კლუივერტი და ის ალბათ დღესაც ითამაშებს იან კრომკამპთან ერთად, რომელიც „ლივერპულის" ყოფილი ფეხბურთელია.

მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგის ბოლო ტურში ლონდონის „არსენალთან" 4:1 მოგებულ მატჩში პიტერ კრაუჩმა ჰეთ თრიქი შეასრულა, შესაძლოა, მაინც სათადარიგოებში აღმოჩნდეს — რაფაელ ბენიტესი „ფარატინა" ფორვარდს უფრო ფეხმსხვილ კრეიგ ბელამის და დირკ კუიტს ამჯობინებს.

აღსანიშნავია, რომ „ლივერპულმა" ამ სეზონის ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად მხოლოდ ერთი მატჩი წააგო — სტამბოლში „გალათასარაისთან", როცა მერვედფინალი უკვე განაღდებული ჰქონდა...

**ვაჟა ხუციშვილი**



AFP

# მუზეუმში შესვლას აზრი უნდა ჰქონდეს
## პიტერ კრაუჩი სიამაყით გაიზარდა

პრემიერლიგის ბოლო ტურში მთავარი მატჩი „ენფილდზე" იყო — მესამე ადგილისთვის მებრძოლ „ლივერპულსა" და „არსენალს" შორის. რაფაელ ბენიტესის გუნდმა „მეთოფეები" 4:1 გაანადგურა, რაშიც პიტერ კრაუჩმა ჰეთ თრიქით ლომის წვლილი დაიდო. ვინძლო მერსისაიდელებს აყლაყუდა ფორვარდის სიჩაუქე დღეს ჰოლანდიურ პსვ-სთან საჩემპიონთალიგო მატჩშიც დასჭირდეთ...

— გილოცავთ, „ლივერპულის" მაისურით ეს თქვენი პირველი ჰეთ თრიქია...

— გმადლობთ. ძალიან გახარებული ვარ.

— რამდენად მნიშვნელოვანი იყო „არსენალთან" მოპოვებული სამი ქულა?

— ჩემი გოლები მთელი გუნდის დამსახურებაა, გამარჯვება კი — ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ ხომ მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჩვენი უშუალო კონკურენტი დავამარცხეთ. წაგებაზე არც ვფიქრობდით და ფრეც არ გვინდოდა — მიზანი მხოლოდ სამი ქულა იყო.

— ნუთუ მესამე ადგილი ასეთი სერიოზული მიზანია გუნდისთვის?

— რასაკვირველია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სეზონი მთლიანად წარუმატებლად ჩაითვლება.

— მესამე და მეოთხე ადგილზე გასული გუნდები ჩემპიონთა ლიგაში მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ერთვებიან. ასე რომ, წესით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მესამეზე გახვალთ, თუ მეოთხეზე...

— ჩემპიონთა ლიგის თვალსაზრისით, ამას მართლაც არა აქვს აზრი, აი, პრემიერლიგის მხრივ კი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მესამე ადგილი ბრინჯაოს მედლებს მოგვიტანს და კლუბის მუზეუმს ბრინჯაოს თასი შეემატება. მეოთხე ადგილზე გასვლის შემთხვევაში კი ვერაფერს მივიღებთ, ისტორია და სტატისტიკა გვერდს აგვივლის. ასეთ შემთხვევაში, გინდ მეოთხე ყოფილხარ, გინდ მერვე, ან მეათე.

— პსვ-სთან მოახლოებულ მატჩზე რას იტყვით?

— ჰოლანდიელებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ, რთული ბრძოლა გველის და ყველანაირად ვეცდებით, სასურველ შედეგს მივაღწიოთ. თუ მწვრთნელი მათამაშებს, თავდაუზოგავად მოვინდომებ და მაქსიმუმს გავიღებ.

# საფეხბურთო და უფეხბურთო ეტოო



**თავის** დროზე ლუის ვან გაალმა თქვა, რა კარგი იქნება, „ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგა მარტო კატალონიელი ფეხბურთელებით რომ მოიგოსო... სამუელ ეტოოს კი განსხვავებული ოცნება აქვს — სურს, „ბარსაში" შავი კონტინენტის ბევრი წარმომადგენელი თამაშობდეს.

„მოხარული ვიქნები, თუ „ბარსელონაში" ექვს აფრიკელს ენახავ — უთხრა კამერუნელმა „სპორტს" — საუკეთესო აფრიკელი მეგოლეები, კანუტი, დროგბა და დინდანე ევროპულ ლიგებში თამაშობენ, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ევროპელები იმხელა სირთულეებს გვიქმნიან, რომ ჩვენების წარმატება ორმაგად დასაფასებელი და მისასალმებელია". ბედნიერი ვიქნები, როცა „ბარსას"*, „რეალის", „მილანისა" თუ „ჩელსის" შემადგენლობებში ექვს-ექვს აფრიკელს ვიხილავ. ეს კლუბები ამდენივე ბრაზილიელს ათამაშებენ და რატომ არ შეიძლება, მათი ადგილი აფრიკელებმა დაიკავონ?!"

ეტოო ბარსელონაში აფრიკელ ბავშვთა დახმარების ფონდს ხელმძღვანელობს, კამერუნში და სხვა აფრიკულ ქვეყნებში კი საფეხბურთო სკოლებს კურირებს. მისი ოცნება შავი კონტინენტის წარმომადგენელთა ევროპულ ფეხბურთში სწრაფი ინტეგრაციაა: „ჩვენი თაობა გზას ახალგაზრდებს გაუხსნის.

ეტოო თანამემამულეებს ყველანაირად ეხმარება. იგი კამერუნში მანქანებს, წამლებსა და საწოლებსაც კი აგზავნის იქაური ციხეებისთვის.

„ციხეში სხვადასხვა მიზეზით ხვდებიან, მაგრამ უნდა ვიზრუნოთ, რომ იქ მოხვედრილებმა იმედი არ დაკარგონ. ყველას ვეხმარები, განსაკუთრებით ახალგაზრდებს — ისინი ჩვენი ქვეყნის მომავალი არიან" — აღნიშნა სამუელმა, ოღონდ...

„ერთი რამ გულს განსაკუთრებით მტკენს. კამერუნელები და საერთოდ, აფრიკელები, უცხო ქვეყნებში ბარბაროსებივით იქცევიან, რაც შავ კონტინენტს სახელს უტეხავს. გარდა ამისა, უმადურებიც არიან... იმედია, ეს დროთა განმავლობაში გამოსწორდება" — თქვა ეტოომ.

**ლადო ხომერიკი**

## ლუსიო და პალასიო

„**დიარიოსპორტი**" ამტკიცებს, რომ „ბარსელონა" ლუსიოთი დაინტერესდა. მიუნხენის „ბაიერნის" 29 წლის მცველი კატალონიელებს ლილიან ტურამის შემცვლელად უნდათ, რომელიც სეზონის ბოლოს წასვლას აპირებს.

გარდა ამისა, „ბარსა" აგრძელებს მოლაპარაკებას „ბოკა ხუნიორსთან", საიდანაც ფორვარდ როდრიგო პალასიოს გადაბირებას ცდილობს. საამისოდ კატალონიელთა დელეგაცია უახლოეს დღეებში ბუენოს აირესში ჩავა. აქამდე მხარეები ტელეფონით საუბრობდნენ, მაგრამ „ბოკას" პრეზიდენტმა მაურისიო მაკსიმ პირადად შეხვედრა მოითხოვა. „ბარსელონა" პალასიოს სანაცვლოდ 9 მილიონ ევროს იხდის.

## ევროკავშირი ხელფასის ზღვარზე

**იმისთვის,** რომ მდიდარ და ღარიბ კლუბებს შორის ფინანსური უფსკრული კიდევ უფრო არ გაღრმავდეს, ევროკავშირი ფეხბურთელებისთვის ჯამაგირის ზღვარის დაწესებას აპირებს. ევროპარლამენტში ამ საკითხზე მსჯელობა შარშან გაიმართა, ახლა კი ამ საქმეს უნდა მიხედონ, რომელსაც პარლამენტის სპორტულ საქმეთა კომისარი იან ფიგელი უთავკაცებს. სავარაუდოდ, ტელეტრანსლაციებიდან მიღებულ შემოსავლებსაც თანაბრად გაინაწილებენ და სახელფასო ზღვარსაც დააწესებენ ისე, როგორც ამერიკაშია. ამის განსახორციელებლად კი დაახლოებით 3-5 წელია საჭირო.

**ვაჟა ხუციშვილი**

ვისენტე დელ ბოსკე ახლა უქმადაა. თავის დროზე, ამ ცნობილმა ულვაშამ მადრიდის „რეალს" უთავკაცა და 2000-04 წლებში ორჯერ ჩემპიონთა ლიგა და ორჯერ პრიმერადივიზიონი მოაგებინა. შემდეგ იყო „რეალის" ექსპრეზიდენტ ფლორენტინო პერესთან უთანხმოება, გუნდიდან წასვლა და თურქულ „ბეშიქთაშში" გატარებული ხანმოკლე პერიოდი.

დელ ბოსკე დღეს უმუშევარია, თუმცა მადრიდელ ფანებს ის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად მიაჩნიათ და სენიორ ვისენტეს მწვრთნელობის პერიოდს ტკბილად იხსენებენ.

დელ ბოსკეს „ლას პროვინსიასი"ესაუბრა...



# წარსულში ქექვა არ მიყვარს
## ვისენტე დელ ბოსკეს ფიგნი მოედანია

— სენიორ დელ ბოსკე, თქვენს შემდგომ „რეალს" „ელ გალაქტიკოდ" მოიხსენიებდნენ, თუმცა ჯილდოების სიმრავლით სამეფო გუნდი უკვე ველარ დაიკვეხნის. ეს უცნაურად არ გეჩვენებათ?

— ჩემმა „რეალმა" მართლაც დიდ წარმატებებს მიაღწია. კარგი წლები იყო, არა მარტო ტიტულების, არამედ თამაშის ხარისხის მხრივაც. გუნდში შესანიშნავი ფეხბურთელები მყავდა, ცოტა იღბალიც გვწყალობდა და ეს ყველაფერი გამოვიყენეთ.

— მწვრთნელი მარტო იმ ფეხბურთელებთან მუშაობს, რომლებსაც კლუბი სთავაზობს?

— მწვრთნელმა გუნდის რეალური ძალა უნდა გაითვალისწინოს და ეცადოს, შემადგენლობიდან მაქსიმუმი მიიღოს. თუმცა სატრანსფერო საქმეებიდან განდგომაც არ შეიძლება, ამ პროცესშიც აქტიურად უნდა ჩაერთო. თუ მწვრთნელი და გუნდის უფროსობა წარმატების მისაღწევად ერთობლივად ზრუნავენ, ჯილდოებიც აღარ დააყოვნებს.

— „რეალის" ხელმძღვანელობიდან ყველაზე მეტად ვინ ერეოდა თქვენს საქმეებში?

— ასეთი რამ არ მახსოვს — მუშაობაში ხელს არავინ მიშლიდა. არ ვარ იმის მომხრე, რომ უფროსობა გასახდელს ხშირად სტუმრობდეს და მწვრთნელს დარიგებებს აძლევდეს, თუმცა, რა თქმა უნდა, სასარგებლო რჩევას ყური უნდა დაუგდო. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელებმა იციან, თუ ვინ არის ნამდვილი მეთაური.

— რომელი ფეხბურთელი მოსწონს ვისენტე დელ ბოსკეს?

— კონკრეტულად არავის გამოვარჩევ, თუმცა გეტყვით, რომ ვისაც სათანადო ტექნიკური და ფიზიკური მონაცემები აქვს და, უპირველეს ყოვლისა, გუნდური თამაშის პრინციპებს იცავს, ჩემთვის მისაღები ფეხბურთელია. მომწონს მოთამაშე, რომელიც ტაქტიკურად ძლიერია და თანაგუნდელების სწორად ესმის. თუმც, რასაც პირველად უყურებენ, ფეხბურთელის ინდივიდუალური ოსტატობაა. ერთი შეხედვით, მობურთალს სწორედ ასე აფასებენ.

— მწვრთნელობა სკოლაში უნდა ისწავლო თუ კარგ სპეციალისტებად მხოლოდ მოედანზე, მატჩების დროს ყალიბდებიან?

— ფეხბურთი ყოველდღე ვითარდება და ერთხელ მიღებული ცოდნით ფონს ვერ გახვალ, ხშირად სხვა მწვრთნელების მაგალითის გადაღებაც გიწევს. მწვრთნელთა სკოლებში საერთო, ზოგად ცოდნას იღებ, რომელიც მერე პრაქტიკაში უნდა დახვეწო. კონკრეტულ სიტუაციებში როგორ უნდა მოიქცე, აკადემიაში არავინ გასწავლის. ეს სიცარიელე პირადი გამოცდილებით და პრაქტიკით უნდა შეავსო. როცა საქმეს ხელს მოჰკიდებ, სუსტი და ძლიერი მაშინ გამოჩნდება.

— მწვრთნელთა სკოლებში იმას თუ ასწავლიან, გუნდი როგორ უნდა ჩამოყალიბდეს?

— ეს უკვე სხვა საქმეა. მე ამას მმართველობის სტილს დავარქმევდი. მწვრთნელი უნდა ხვდებოდეს, როგორ უნდა განაწყოს ფეხბურთელი საბრძოლველად, როგორ უნდა შექმნას მტკიცე, ერთ მუშტად შეკრული ბირთვი, რომელიც პრობლემებს იოლად მოაგვარებს. თუ დამრიგებლის ხასიათში ეს არ დევს, წარმატების მიღწევა გაუჭირდება. არც ერთ სახელმძღვანელოში არ წერია, გუნდი ვინ როგორ უნდა ჩამოაყალიბოს.

— ჯილდოები არც ფეხბურთელობისას გაკლდათ...

— მართალი გითხრათ, ფეხბურთელობის დროინდელ პერიოდზე ნოსტალგია ნაკლებად მაწუხებს. ვიცი, რომ ეს ჩემი ცხოვრების შესანიშნავი ხანა იყო, ბობოქარი დრო, როდესაც ფეხბურთისგან უდიდესი სიამოვნება მივიღე, მაგრამ ანეკდოტების და სახალისო ამბების გასახსენებლად წარსულის ქექვა არ მიყვარს — დღევანდელი დღით უნდა იცხოვრო და მომავალზე უნდა იფიქრო.

— როცა ფეხბურთელის კარიერა დაასრულეთ, მაშინვე გადაწყვიტეთ მწვრთნელობა?

— ყოველთვის მინდოდა, მწვრთნელი ვყოფილიყავი. მე ფეხბურთელთა იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, ბრწყინვალე დამრიგებლებთან ემუშავა. მათი გავლენით გადავწყვიტეთ ჩვენც მწვრთნელობა.

— რაც მატჩის დროს მინდორზე ხდება, ყველაფერზე პასუხისმგებლობა მწვრთნელს უნდა დავაკისროთ?

— ყველაფერზე არა. მაგალითად, სათამაშო დონეზე და ნიჭზე თავად ფეხბურთელია პასუხისმგებელი, ხოლო რაც შეეხება თამაშის ორგანიზებას და მოთამაშეთა საბრძოლოდ განწყობას, აქ პასუხს აუცილებლად დამრიგებელი აგებს.

— და როდესაც საქმე კარგად არ მიდის, გულშემატკივართა სტვენას როგორ იტანთ?

— ვინც ამბობს, რომ თამაშის დროს აბსოლუტურად მატჩზეა კონცენტრირებული და არ ესმის, მის ზურგს უკან ტრიბუნები რას გაიძახიან, ტყუის. რა თქმა უნდა, გულშემატკივართა დადებითი თუ უარყოფითი რეაქცია შენზე გავლენას ახდენს. ცხადია, გადასარევია, როცა ხალხი მოწიწებით გეპყრობა და სტვენით არ გიკლებს. და თუ ასე არ ხდება, რა გაეწყობა, კბილი კბილს უნდა დააჭირო და მოთმინება გამოიჩინო.

— ვიდრე „რეალის" მწვრთნელი გახდებოდით, ახალგაზრდულ გუნდებთან მუშაობდით. პატარების გაწვრთნაც დიდ დაძაბულობასთანაა დაკავშირებული?

— ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. როცა შენ გუნდის სამომავლო სახის ჩამოყალიბებას გავალებენ, უკიდურესი სიფრთხილე და მოხერხება გმართებს. გრანდი კლუბების ახალგაზრდულ გუნდებთან მუშაობა კი ორმაგ დაძაბულობას მოითხოვს.

— ისეთ პიროვნებას თუ შეუძლია მწვრთნელობა, რომელსაც საფეხბურთო წარსული არა აქვს?

— ხშირად ამბობენ, რომ ყველაზე დიდი მწვრთნელები მხოლოდ ისინი არიან, ვისაც დიდი ფეხბურთი არასდროს უთამაშიათ. ზოგი კი პირიქით ამტკიცებს. ერთიც შეიძლება და მეორეც. მე ვიცნობ ხალხს, რომელთაც უმაღლეს დონეზე ბურთი არასდროს გაუგორებიათ, თუმცა დამრიგებლობის დიდი ნიჭი აქვთ...

— ძალიან რთული პროფესია გაქვთ — დიდი და პატარა თქვენს საქმიანობას მოურიდებლად არჩევს და ამტკიცებს, რომ მოცემულ სიტუაციაში ასე უნდა მოქცეულიყავით, ან პირიქით. თქვენი აზრით, ეს უსამართლობაა?

— დებატები და პოლემიკა ფეხბურთს ეშხს და ლაზათს მატებს. ყველა გულშემატკივარს, თუნდაც საქმეში ზერელედ ჩახედულს, თავისი სიმართლე აქვს. საბოლოოდ კი გადაწყვეტილებას მწვრთნელი იღებს, მიუხედავად იმისა, რას მსჯელობს ხალხი...

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 20:15 | 2 | სიტი-ჩარლტონი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 22:30 | 3 | ევერტონი-ფულემი | 1.60 | 3.50 | 6.00 | 1.09 | 1.26 | 2.21 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 15:45 | 4 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.40 | 4.20 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.75 |
| 18:00 | 6 | არსენალი-ვესტ ჰემი | 1.40 | 4.20 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.75 |
| 18:00 | 8 | ბლეკბერნი-ასტონ ვილა | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| 18:00 | 9 | მიდლსბრო-უოტფორდი | 1.55 | 3.50 | 6.50 | 1.07 | 1.25 | 2.27 |
| 18:00 | 10 | რედინგი-ლივერპული | 3.30 | 3.20 | 2.15 | 1.62 | 1.30 | 1.28 |
| 18:00 | 12 | შეფილდი-ნიუკასლი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 18:00 | 13 | უიგანი-ბოლტონი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 20:15 | 14 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 23 | ბარნსლი-პლიმუთი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 22:45 | 24 | ქპრ-პრესტონი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 73 | როჩდეილი-სუინდონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 22:45 | 74 | შრიუსბერი-ბერი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 99 | ოლდერშოტი-ექსეტერი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 22:45 | 100 | გრეივსენდი-ჰალიფაქსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:45 | 101 | რაშდენი -ვეიმუთი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 22:45 | 570 | ფორესტ გრინი-გრეისი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 22:45 | 571 | სტ.ალბანსი-მორიკამბი | 3.35 | 3.30 | 1.95 | 1.66 | 1.23 | 1.22 |
| 22:45 | 572 | სტივენიჯი-კიდერმინსტერი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:45 | 573 | ტემუორთი-ნორთვიჩი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 125 | მოზერუელი-კილმარნოკი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 126 | სტ.მირენი-ჰიბერნიანი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 137 | ქუინი-ჰამილტონი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 138 | როსი-პარტიკი | 2.25 | 3.40 | 2.65 | 1.35 | 1.21 | 1.48 |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 136 | ეირდრი-გრეტნა | 4.50 | 3.70 | 1.60 | 2.03 | 1.18 | 1.11 |
| 22:45 | 139 | ლივინგსტონი-კლაიდი | 2.35 | 3.40 | 2.50 | 1.38 | 1.21 | 1.44 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 145 | ბრეჩინი-მორტონი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 22:45 | 146 | ფორფარი-პიტერჰედი | 3.30 | 3.40 | 1.90 | 1.67 | 1.20 | 1.21 |
| 22:45 | 147 | რეითი-ეარი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 22:45 | 148 | სტრანრარი-ალოა | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 149 | სტირლინგი-კოუდენბითი | 1.55 | 3.80 | 4.80 | 1.10 | 1.17 | 2.12 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 155 | დამბარტონი-არბროთი | 3.50 | 3.50 | 1.80 | 1.75 | 1.18 | 1.18 |
| 22:30 | 156 | ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 269 | სარაგოსა-ბარსელონა | 3.40 | 3.20 | 2.10 | 1.64 | 1.29 | 1.26 |
| 23:45 | 271 | ბილბაო-ვალენსია | 3.40 | 3.10 | 2.05 | 1.62 | 1.27 | 1.23 |
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 272 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 273 | დეპორტივო-ტარაგონა | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 19:00 | 274 | ლევანტე-ბეტისი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 19:00 | 275 | მალიორკა-ხეტაფე | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 19:00 | 276 | უელვა-სელტა | 2.00 | 3.10 | 3.60 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| 19:00 | 277 | სევილია-რასინგი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 21:00 | 278 | რეალი-ოსასუნა | 1.40 | 4.10 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.51 |
| 23:00 | 280 | ვილარეალი-ატლეტიკო | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 459 | ბრომაპოიკარნა-იურგორდენი | 4.50 | 3.50 | 1.70 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| 17:00 | 460 | ტრელებორგი-გოტებორგი | 3.20 | 3.10 | 2.15 | 1.57 | 1.28 | 1.26 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 461 | ელფსბორგი-მალმო | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 462 | აიკ-კალმარი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 17:00 | 463 | გეფლე-ორებრო | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 464 | ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 465 | ბოჰემიანი-შემროკი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 526 | მილანი-ბაიერნი | 2.00 | 3.20 | 3.80 | 1.23 | 1.31 | 1.73 |
| 22:45 | 527 | პსვ-ლივერპული | 2.90 | 3.00 | 2.50 | 1.47 | 1.34 | 1.36 |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 528 | ჩელსი-ვალენსია | 1.70 | 3.30 | 5.30 | 1.12 | 1.28 | 2.03 |
| 22:45 | 529 | რომა-მანჩესტერი | 2.65 | 3.10 | 2.65 | 1.42 | 1.32 | 1.42 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 530 | ალკმაარი-ვერდერი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 22:45 | 531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 21:00 | 532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 22:45 | 533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| | | რუსეთი. თასი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 536 | დინამო მ-ლოკომოტივი მ | 3.50 | 3.10 | 2.00 | 1.64 | 1.27 | 1.21 |
| 18:00 | 537 | მოსკოვი-კრილია | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 538 | როსტოვი-დინამო ბრიანსკი | 1.35 | 4.00 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.76 |
| 19:30 | 539 | ზენიტი-სპარტაკი მ | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| | | ავსტრია თასი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 534 | ზალცბურგი-მატერსბურგი | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 655 | ტრენჩინი-ზვოლენი | 2.10 | 4.00 | 2.35 | 1.37 | 1.10 | 1.48 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 659 | ბერნი-დავოსი | 1.85 | 4.20 | 2.80 | 1.28 | 1.11 | 1.67 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 748 | ტაუ-ოლიმპიაკოსი | 1.15 | 12.00 | 4.00 | 1.04 | 1.00 | 3.00 |
| 22:45 | 749 | უნიკახა-ბარსელონა | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 21:45 | 750 | პანათინაიკოსი-დინამო | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 20:15 | 751 | ცსკა-მაკაბი | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10526 | მილანი-ბაიერნი | 2.45 | 2.00 | 4.20 | 1.10 | 1.54 | 1.35 |
| 10527 | პსვ-ლივერპული | 3.30 | 2.00 | 2.90 | 1.24 | 1.54 | 1.18 |
| 10528 | ჩელსი-ვალენსია | 2.20 | 2.10 | 5.50 | 1.07 | 1.57 | 1.51 |
| 10529 | რომა-მანჩესტერი | 3.10 | 2.00 | 3.10 | 1.21 | 1.54 | 1.21 |
| 10530 | ალკმაარი-ვერდერი | 3.10 | 2.00 | 2.95 | 1.21 | 1.51 | 1.19 |
| 10531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 2.75 | 2.00 | 3.45 | 1.15 | 1.53 | 1.26 |
| 10532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 2.40 | 2.00 | 4.20 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10533 | სევილია-ტოტენჰემი | 2.25 | 2.10 | 4.80 | 1.08 | 1.53 | 1.46 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11526 | მილანი-ბაიერნი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11527 | პსვ-ლივერპული | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11528 | ჩელსი-ვალენსია | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11529 | რომა-მანჩესტერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11530 | ალკმაარი-ვერდერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11533 | სევილია-ტოტენჰემი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12526 | მილანი-ბაიერნი | 1.55 | 2.10 |
| 12527 | პსვ-ლივერპული | 1.50 | 2.20 |
| 12528 | ჩელსი-ვალენსია | 1.55 | 2.10 |
| 12529 | რომა-მანჩესტერი | 1.55 | 2.10 |
| 12530 | ალკმაარი-ვერდერი | 2.10 | 1.55 |
| 12531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.50 | 2.20 |
| 12532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13526 | მილანი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13527 | პსვ-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13528 | ჩელსი-ვალენსია | 1.90 | 1.70 |
| 13529 | რომა-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13530 | ალკმაარი-ვერდერი | 1.55 | 2.10 |
| 13531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.90 | 1.65 |
| 13532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.90 | 1.70 |
| 13533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14526 | მილანი-ბაიერნი | 1.70 | 2.10 |
| 14527 | პსვ-ლივერპული | 1.90 | 1.80 |
| 14528 | ჩელსი-ვალენსია | 1.40 | 2.40 |
| 14529 | რომა-მანჩესტერი | 1.90 | 1.90 |
| 14530 | ალკმაარი-ვერდერი | 1.90 | 1.90 |
| 14531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.80 | 2.00 |
| 14532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.65 | 2.20 |
| 14533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15526 | მილანი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15527 | პსვ-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15528 | ჩელსი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15529 | რომა-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15530 | ალკმაარი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15533 | სევილია-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16526 | მილანი-ბაიერნი | 1.37 | 2.65 |
| 16527 | პსვ-ლივერპული | 1.90 | 1.70 |
| 16528 | ჩელსი-ვალენსია | 1.16 | 4.00 |
| 16529 | რომა-მანჩესტერი | 1.80 | 1.80 |
| 16530 | ალკმაარი-ვერდერი | 1.80 | 1.80 |
| 16531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.60 | 2.00 |
| 16532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.35 | 2.60 |
| 16533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.28 | 3.00 |

### გოლი:წყვილი-ლუწ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17526 | მილანი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17527 | პსვ-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17528 | ჩელსი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17529 | რომა-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17530 | ალკმაარი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18526 | მილანი-ბაიერნი | 1.70 | 2.00 |
| 18527 | პსვ-ლივერპული | 2.60 | 1.40 |
| 18528 | ჩელსი-ვალენსია | 1.42 | 2.60 |
| 18529 | რომა-მანჩესტერი | 2.40 | 1.50 |
| 18530 | ალკმაარი-ვერდერი | 2.50 | 1.45 |
| 18531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 2.00 | 1.65 |
| 18532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.70 | 2.00 |
| 18533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.70 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## ქართული ლეგიონი

# მარკოიშვილის საქმე: ჯერ ქულები

**უცხოელობა** მანუჩარ მარკოიშვილზე არ მოქმედებს — ადრიატიკის ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ სლოვენიის ჩემპიონატში გადაინაცვლა და ქართველი უკანახაზელის დახმარებით უკვე მეორე თამაში მოიგო.

ოლიმპიელები პირველ ტურში აუტსაიდერ „ლოკა კავს“ შეხვდნენ და იოლად გათელეს — 101:68. მანუმ 24 წუთში 15 ქულა მიითვალა, თუმც კიდევ უფრო შედეგიანი იყო მომდევნო მატჩში, როცა „ოლიმპია“ ამბიციურ „სლოვანს“ შეხვდა. მანუჩარმა 35 წუთი გაატარა მოედანზე და 20 ქულა, 5 პასი და 2 მოხსნა მიითვალა.

ესპანეთში საამაყო გამარჯვება მოიპოვა ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესმა“, თუმცა ჩვენიანს კვლავ არ უთამაშია. ვიკამ ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაიკეთა ორი კვირის წინ და ჯერაც რეაბილიტაციას გადის. მისმა გუნდელებმა ესპანური ლიგის ლიდერი მადრიდის „რეალი“ დაამარცხეს და საპლეიოფო ზონაშიც შეყვეს თავი.

წააგო ნიკა ცქიტიშვილის „კახა სან ფერნანდომ“, რომელიც ვიტორიაში „ტაუს“ შეხვდა და უშანსოდ იყო. ნიკა ისევ ასცდა 10-ქულიან ზღვარს — სულ რაღაც 17 წუთში მან 11 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა.

სერია A-ში ორივე ჩვენიანის გუნდმა მოიგო — ქართულად ნატურალიზებულმა ამერიკელმა ტაირონ ელისმა 24 წუთში 13 ქულა მიაშველა „ვარეზეს“ მძლეველ „ნაპოლის“, ხოლო „სიენამ“ მეორეადგილოსანი „ვიდივიცი“ რომ დაამარცხა, ვლადიმერ ბოისამ 7 წუთში 2 ქულა მითვალა.

ამ გამარჯვებით „სიენამ“ კიდევ უფრო გაიმყარა სერია A-ს ლიდერობა და თითქმის გაინაღდა კიდეც რეგულარული ჩემპიონობა, რაც იმას ნიშნავს, რომ პლეი ოფში ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობა ექნება.

თავი გამოიჩინა ვახტანგ ნაცვლიშვილმაც, რომელმაც ტრავმის შემდეგ პირველი მძლავრი მატჩი ითამაშა. „დიჟონმა“ „ორლეანს“ 78-68 მოუგო, საქართველოს ნაკრების “კაპიტანმა“ კი 16 წუთში 7 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა.

ზაზა ფაჩულიამ გასულ კვირაში ერთი სერიოზული მატჩი ჩაატარა — დირკ ნოვიცკის „დალასთან“ წაგებულ შეხვედრაში ზაზამ ატლანტელებს 24 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | სლოვენიის ჩემპიონატი | ლოკა კავა<br>სლოვანი | შ<br>შ | 101:68<br>93:79 | 24<br>35 | 15<br>20 | 3<br>2 | 1<br>5 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპ. | ორლეანი | შ | 78:68 | 16 | 7 | 4 | 0 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | ვიდივიცი | ს | 84:76 | 7 | 2 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ესპანეთის ჩემპიონატი | რეალი | შ | 87:85 | არ უთამაშია | | | |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | ტაუ | ს | 76:92 | 17 | 11 | 3 | 1 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ასკრივა იუნ. | ლატვიის უმაღლესი ლიგა | ვენტსპილსი | ს | 59:104 | 34 | 6 | 4 | 1 |
| ტაირონ ელისი | სიენა | სერია A | ვარეზე | ს | 72:67 | 24 | 13 | 4 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპიონატი | შარლოტი<br>მაიამი<br>დალასი | ს<br>ს<br>შ | 87:101<br>89:106<br>97:104 | 26<br>არ უთამაშია<br>31 | 6<br><br>14 | 5<br><br>13 | 3<br><br>1 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური



სლოვენიაში მანუჩარ მარკოიშვილს ვერ აჩერებენ

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დალას-ლასებდა

## ფინX-ფაქტორი ნოვიცკისა და კომპანიისთვის



ფინიქსელი სტივ ნეშის და დალასელი დირკ ნოვიცკის დუელი ნბა-ს კლასიკად იქცა

**ესეც** ზედიზედ მეექვსე! „ატლანტა ჰოქსი“ აგებს და აგებს და ჩანს, ამას ძალიანაც არ განიცდის. მწვრთნელი მაიკ ვუდსონი მხოლოდ სხვათა დასანახად თუ ტუქსავს შეგირდებს. ასე, მაგალითად, „შარლოტის“ თავკაც ბერნი ბიკერსტაფისგან განსხვავებით, არც იმის შიში აქვს, რომ ბევრი თამაშის წაგებით სკამს და თავს დაკარგავს. შინ „ჩიკაგოსთან“ თანაბარ თამაშში ბოლო წუთებზე დამარცხების შემდეგ ვუდსონმა მსუბუქად დაიჩივლა, ჩვენმა დაბალმა სამეულმა — (გამთამაშებელი-მსროლელი-ფრთა) ჯონსონ-ჩილდრეს-უილიამსის ტრიომ აშკარად წააგო დუელი ჰაინრიხ-გორდონ-დენგთანო.

ვუდსონი მთლიანობაში დიდად არც ძირითადი ხუთეულის ყველაზე მაღალი მოთამაშით უნდა დარჩენილიყო ნაამები. ზაზა ფაჩულიას რიგითი, ბევრი არაფრით გამორჩეული მატჩი ჰქონდა. მართალია, გოროზი ჩიკაგოელი ოპონენტი ბენ ვოლესი 5 ქულას და 9 მოხსნას დააჯერა, აკმარა, მაგრამ თავადაც არ უხვეჭია უსაშველოდ ბევრი. ერთადერთი ატლანტელი, რომელიც ბოლომდე გამოიწურა და დაიხარჯა, ჯოშ სმიტი გახლდათ.

ზაზა ფაჩულიას გამო, თორემ კვირას ნბა-ში ერთი ისეთი თამაში გაიმართა, „ატლანტა“ — „ჩიკაგოს“ შეხვედრის ხსენებაც კი სირცხვილია: სეზონის ორმა უძლიერესმა გუნდმა „ფინიქსმა“ და „დალასმა“ ერთმანეთთან ამ რეგულარული ჩემპიონატის მეოთხე და უკანასკნელი ბრძოლა გადაიხადეს და ახლა ისინი პლეი ოფში თუ შეიყრებიან. „დალასს“ არაბუნებრივად მძლავრი სეზონი აქვს, აქამდე 71 შეხვედრიდან მხოლოდ 11 წააგო და ახლაც წინა 9 მეტოქე დაუმარცხებლად გაევლო, მაგრამ თავადაც უწყით, რომ კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს, „ფინიქსი“ კი ასეთი კოკების გატეხვაში გვარიანადაა დაოსტატებული. სტივ ნეშმა და კომპანიამ დირკ ნოვიცკის გუნდს ისეთი მარცხი აგემეს, „დალასმა“ ეს სეზონი სულ რიხინ-რიხინით რომ მოიგოს, ეს წაგება ალბათ მაინც არ დაავიწყდება. ტეხასელები ნამდვილად არ ელოდნენ 22-ქულიან მარცხს. „ფინიქსმაც“ ამ მოგებით რეგულარულში ანგარიში 2:2 გაუთანაბრა და პლეი ოფშიც თუ შეხვდა (ამის დიდი შანსი არსებობს), მუხლი ნამდვილად არ აუკანკალდება.

ფინიქსში შარშანდელი პლეი ოფის ორი დასავლელი ნახევარფინალისტი შეიბა, დეტროიტში კი გვარიანი ჯახი გადაიხადა ორმა აღმოსავლელმა ნახევარფინალისტმა. მადაზე მოსულმა და კბილებალესილმა ჩემპიონმა „მაიამიმ“ ბოლო წამებამდე ამტვრია კბილები აღმოსავლეთის ლიდერ „დეტროიტს“, ბოლო მეოთხედის წინ 6 ქულითაც უგებდა, მაგრამ გამარჯვება მაინც ამ მეორეს შერჩა.

**კოტე ყორშია**

1 აპრილი

**ატლანტა 97:105 ჩიკაგო**

ატლანტა: ა. ჯონსონი (3), ჩილდრესი (12), მ. უილიამსი (16), სმიტი (24 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ფაჩულია (31 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა); ლუ (15), ჯონსი (8), სტუდემაიერი (8), შ. უილიამსი (2)

ჩიკაგო: ჰაინრიხი (22), გორდონი (15), დენგი (30), ბრაუნი (8), ვოლესი (5); დუპონი (11), ტომასი (8), ალენი (6), სეფოლოშა

**ფინიქსი 126:104 დალასი**

ფინიქსი: ბარბოსა (29), სტუდემაიერი (24), ნეში (23 ქულა, 11 პასი), მერიონი (20), დიაუ (16)

დალასი: ჰოვარდი (28), სტეკჰაუსი (25), ნოვიცკი (21), ტერი (20)

**დეტროიტი 94:88 მაიამი**

დეტროიტი: ჰამილტონი (19), ბილაფსი (17)

მაიამი: ონილი (25), უილიამსი (21)

**გოლდენ სტეიტი 122:117 მემფისი**

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (26), ჯექსონი (21), ბიედრინში (13 ქულა, 18 მოხსნა)

მემფისი: გასოლი (23), კინსი (21), უორკი (19), ეტკინსი (19)

**ორლანდო 104:105 მინესოტა**

ძირითადი დრო 98:98

ორლანდო: ჰილი (23), მილიჩიჩი (18 ქულა, 10 მოხსნა), ჰოვარდი (19 მოხსნა)

მინესოტა: დევისი (36), გარნეტი(22 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი)

**ტორონტო 107:94 შარლოტი**

ტორონტო: ბოში (24 ქულა, 16 მოხსნა)

შარლოტი: ჰერმანი (22), ოკაფორი (16)

**ჰიუსტონი 83:86 იუტა**

ჰიუსტონი: მინი (35 ქულა, 16 მოხსნა), მაკგრეიდი (20)

იუტა: ოქური (20), ბუზერი (13 ქულა, 10 მოხსნა), უილიამსი (12 ქულა, 13 მოხსნა)

**ინდიანა 100:99 სან ანტონიო**

ინდიანა: დანლივი (21), ტინსლი (20), მერფი (20), დიოგუ (18 ქულა, 13 მოხსნა)

სან ანტონიო: პარკერი (22), დანკანი (17 ქულა, 11 მოხსნა), ფინლი (17)

**მილუოკი 107:121 ვაშინგტონი**

მილუოკი: უილიამსი (25), პატერსონი (19 ქულა, 10 მოხსნა), ბელი (18)

ვაშინგტონი: ბატლერი (19), არენასი (19)

**სიეტლი 103:114 დენვერი**

სიეტლი: უოტსონი (29), ლუისი (27), უილკოქსი (20)

დენვერი: ენტონი (32), აივერსონი (26)

**ლეიკერსი 126:103 საკრამენტო**

ლეიკერსი: ევანსი (21), ბრაიანტი (19 ქულა, 13 პასი), ოდომი (18)

საკრამენტო: არტესტი (26), მარტინი (23)

**ბოსტონი 98:96 კლივლენდი**

ბოსტონი: გრინი (25), ჯეფერსონი (24)

კლივლენდი: ჰიუზი (24)

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *დეტროიტი* | 47 | 26 | 64,4 |
| *კლივლენდი* | 44 | 30 | 59,5 |
| *ტორონტო* | 41 | 32 | 56,2 |
| *ვაშინგტონი* | 39 | 33 | 54,2 |
| ჩიკაგო | 44 | 31 | 58,7 |
| მაიამი | 39 | 34 | 53,4 |
| ნიუ ჯერსი | 34 | 39 | 46,6 |
| ორლანდო | 34 | 40 | 45,9 |
| ინდიანა | 32 | 41 | 43,8 |
| ნიუ იორკი | 31 | 42 | 42,5 |
| ფილადელფია | 29 | 44 | 39,7 |
| შარლოტი | 28 | 46 | 37,8 |
| ატლანტა | 27 | 47 | 36,5 |
| მილუოკი | 25 | 47 | 34,7 |
| ბოსტონი | 23 | 50 | 31,5 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *დალასი* | 61 | 12 | 83,6 |
| *ფინიქსი* | 55 | 18 | 75,3 |
| სან ანტონიო | 52 | 21 | 71,2 |
| *იუტა* | 48 | 25 | 65,8 |
| ჰიუსტონი | 47 | 27 | 63,5 |
| ლეიკერსი | 39 | 34 | 53,4 |
| დენვერი | 36 | 36 | 50,0 |
| კლიპერსი | 36 | 37 | 49,3 |
| გოლდენ სტეიტი | 35 | 39 | 47,3 |
| ნიუ ორლეანი | 33 | 40 | 45,2 |
| მინესოტა | 31 | 42 | 42,5 |
| საკრამენტო | 30 | 42 | 41,7 |
| სიეტლი | 30 | 43 | 41,1 |
| პორტლენდი | 29 | 44 | 39,7 |
| მემფისი | 19 | 56 | 25,3 |

*დახრილი შრიფტით აღნიშნული არიან დივიზიონების ლიდერები*

# აი, რიონი, აი, ბაზა
## ქართველები ჩეხებს ხელით შეუტევენ

**როგორც ჩანს, საქართველოს რაგბის კავშირი რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარებას სერიოზულად მოეკიდა. გადაწყდა, რომ ერთ დროს მრისხანე, ახლა კი სულისმლაფავ ქუთაისის „აიას“ რიონისპირას მდებარე სპორტული ბაზა გადაეცემა. ეს ამბავი გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჩვენი რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა კოკა ლაზიშვილმა გაახმაურა და სხვაც ბევრი თქვა. პრესკონფერენციას ესწრებოდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილიც, რომელმაც 7 აპრილის საქართველო-ჩეხეთის მატჩისწინა ამბებზე ისაუბრა**


კოკა ლაზიშვილი


მალხაზ ჭეიშვილი

*კოკა ლაზიშვილი:* ამ დღეებში მე და რაგბის კავშირის პრეზიდენტი მერაბ ანთაძე ქუთაისში ვიმყოფებოდით, სადაც საქმიანი შეხვედრა გვქონდა იმერეთის გუბერნატორთან აკაკი ბობოხიძესთან. შევთანხმდით, რომ რიონისპირას მდებარე სპორტული ბაზა სარაგბო პროფილის გახდება და წლების შემდეგ კვლავ ქუთაისის „აიას“ დაუბრუნდება. ბაზის კეთილმოწყობის და მოედნების მოწესრიგების ხარჯებს ჩვენც გამოვყოფთ და ქუთაისის მერიაც.

— აკაკი ბობოხიძეს წარვუდგინეთ იმერეთში რაგბის კავშირის წარმომადგენელი გია გორგასლიძე, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. ამასთან ერთად მეტი ყურადღება მიექცევა და დაფინანსებაც გაეზრდება ქუთაისის 27-ე რაგბის სპეციალიზებულ სკოლას, რომლის დირექტორი სოსო დიაკონიძეა. სკოლაში კი სამასამდე მოზარდი სწავლობს და ვარჯიშობს.

ამის შემდეგ ჟურნალისტების კითხვებს *მალხაზ ჭეიშვილმა* უპასუხა:

— ჩეხეთთან მატჩისწინა შეკრებას ხვალიდან დავიწყებთ. სამწუხაროდ, წლეულს ისე მოხდა, რომ აგერ უკვე მეოთხე მატჩია, ოპტიმალური შემადგენლობა ვერა და ვერ შევკრიბეთ. იმედია, მომავალში ეს პრობლემა აღარ იქნება. რაც მთავარია, ივნისში რუმინეთში გასამართ ტურნირზე და მსოფლიოს თასის წინა ერთთვიან შეკრებაზე ყველა გამოძახებული მორაგბე იქნება.

— რაც შეეხება მომავალ მატჩს, ვეცდებით, რაც შეიძლება დიდი ანგარიშით მოვიგოთ. მორაგბეებს დავალებული აქვთ, მეტი წილი ხელდახელ ითამაშონ, სხვა საქმეა, როგორ გამოგვივა.

— საქართველოს ნაკრების კონსულტანტად ფრანგი ანრი ბრონკანის დანიშვნას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით. ჩვენ უკვე შევხვდით მას და ვესაუბრეთ. ბრონკანმა, როგორც პიროვნებამ და პროფესიონალმა, კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მისი გამოცდილება ძალიან დაგვეხმარება.

— ახლა ბრონკანი დაკავებულია. მალე მოიცლის და ჩვენთან უფრო მეტ დროს გაატარებს. მსოფლიოს თასზე იგი სამწვრთნელო შტაბში იქნება.

**ბაჩო სვანიძე**

# ნუღოვანი ირლანდია

**18-წლამდელთა** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მოლოდინისამებრ პირველი მატჩი 0:27 წააგო ირლანდიასთან და ნახევარფინალში ვერ გავიდა.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჭაბუკები ელიტარულ რვა გუნდში არიან და ამათში უკეთესი ცხადდება კონტინენტის ჩემპიონად. რაკი ელიტაში მხოლოდ რვა გუნდია, ტურნირი პირდაპირ მეოთხედფინალებით დაიწყო და, როგორც ვთქვით, ქართველები მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

ახლა ჩვენებს ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევთ რაგბობა. საამისოდ კი ფრანგებისგან განადგურებული პორტუგალიელების დამარცხება მართებთ. თუ ქართველებმა ლათინოსებს მოუგეს, ელიტაში ადგილს გაინაღდებენ და მე-5 ადგილისთვის იბრძოლებენ.

ელიტიდან ქვედა დივიზიონში მხოლოდ ბოლოადგილოსანი ვარდება. ქართველები კი ამ ტურნირზე მე-5 ნომრად არიან განთესილები.

## ჰაინეკენის თასი 2007

# ლუდი ბრიტანეთში დაილევა

**მეოთხედფინალი**

*პლანელი (უელსი)* 24:15 მანსტერი (ირლანდია)
*ვოფსი (ინგლისი)* 35:13 ლესტერი (ირლანდია)
ბიარიცი (საფრანგეთი) 6:7 *ნორთჰემპტონი (ინგლისი)*
*ლესტერი (ინგლისი)* 21:20 სტად ფრანსე (საფრანგეთი)

**ნახევარფინალი**

ლესტერი — პლანელი
ნორთჰემპტონი — ვოფსი


AFP
დიმიტრი იაშვილის „ბიარიცი“ „ნორთჰემპტონმა“ დაამარცხა

**რაგბიში** ევროპის საკლუბო ჩემპიონთა ლიგაზე იგივე ჰაინეკენის თასზე გაირკვა ის ოთხეული, ნახევარფინალში რომ გააგრძელებს ბრძოლას.

მეოთხედფინალში წყვილად დამარცხდნენ ფრანგული და ირლანდიური კლუბები. ნახევარფინალში ინგლისს სამი კლუბი ეყოლება, მათთან გატოლებას კი უელსური „პლანელი“ შეეცდება, რომელმაც შარშანდელი ჩემპიონი მანსტერი დაიფრინა ტურნირიდან.

დრამატული მატჩი იყო ლესტერში, სადაც იქაურებმა მაგარი ომი გაუმართეს ფრანგულ „სტად ფრანსეს“ და 80-წუთიან ტრილერში ბოლოსლა გატეხეს პარიზელები.

ტომით ქართველი დიმიტრი იაშვილი კი გმირობიდან ერთ წამში ანტიგმირად გადაიქცა. მისი ორი საჯარიმოთი „ბიარიცი“ 6:0 უგებდა „ნორთჰემპტონს“, მაგრამ მერე მოედნის ცენტრში ბურთი მეტოქეს ჩააბარა და ინგლისელებსაც კონტრშეტევაზე დაიჭირეს ფრანგები. მატჩის ერთადერთი და გადამწყვეტი ლელოც ამ დროს გავიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა


დავით ნამგალაური, ვლადიმერ ახალკაცი და ავთანდილ შოშიაშვილი

# დიდ ჯიბეში ბევრი მედალი ეტევა

**ბაქოს საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნებული მოკრივეები გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში შეიკრიბნენ. ავთანდილ შოშიაშვილის ცამეტკაცა გუნდმა აზერბაიჯანში რვა მედალი მოიპოვა და გუნდური მესამე ადგილი დაიკავა. ჩავლილ შეჯიბრზე მწვრთნელ-სპორტსმენების გარდა კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ ახალკაცმაც ისაუბრა**

იქვე ერთი შეცდომაც გასწორდა. ნაკრების თბილისში ჩამოსვლამდე ფედერაციის ხელთ არსებული ინფორმაციით, ხუთი ბრინჯაოდან ერთ-ერთი 60-კილოგრამიანმა ვასილ ყაზიშვილმა მოიპოვა, 51-კილოგრამიანი მერაბ თურქაძე კი უმედლოდ დარჩა. სინამდვილეში პირიქით მოხდა. აქვე სხვა მედალოსნებსაც შეგახსენებთ: ლევან ლვამიჩავა (64კგ), კახა ჟვანია (69კგ), გიორგი ნაკანი (75კგ) და დავით წიკლაური (81კგ) მესამე ადგილზე გავიდნენ. ზვიად ხადური (48კგ) და ბექა ლობჟანიძე (+91კგ) — მეორეზე, ხოლო კობა ფხაკაძე (57კგ) ჩემპიონი გახდა.

მოკრივეებს წარმატება პირველად სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ *დავით ნამგალაურმა* მიულოცა:

„კარგია, რომ ნავსი გატყდა და საერთაშორისო ტურნირიდან ოქროს მედლით დაბრუნდით. ჩემპიონობა და გუნდური მესამე ადგილი პირველი მასშტაბური. გამარჯვებაა დიდი პაუზის შემდეგ, რისთვისაც ყველა მოკრივეს და მთელ ფედერაციას მადლობას ვუხდი. ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს და სასიხარულოა, რომ შოშიაშვილმა მუშაობა ასეთი წარმატებით დაიწყო. ახლა მთავარია, არ მოდუნდეთ და ტემპი შეინარჩუნოთ, ჩვენ კი მაქსიმალურად ამოგიდგებით მხარში. საერთაშორისო ტურნირებზე გამგზავრების პრობლემა აღარ გექნებათ და, რაც მთავარია, სრული შემადგენლობით გამოხვალთ ხოლმე. აქვე შიდა კონკურენციასაც შევეხები. წლევანდელ საქართველოს ჩემპიონატზე რამდენიმე ფინალური შეხვედრა ცოტა მოულოდნელი შედეგით დასრულდა. მაშინ კონსტანტინე კუპატაძემ და დავით წიკლაურმა წააგეს, ბაქოში კი თავისი ძალის დამტკიცების შანსი ჰქონდათ. კუპატაძისგან განსხვავებით, წიკლაურმა ეს მოახერხა და ნაკრებში პირველობა მოიპოვა, თუმცა კონკურენცია გრძელდება. პეკინის ოლიმპიადის გზაზე ვდგევართ და ჩინეთშიც ასეთ წარმატებას გისურვებთ“.

*ვლადიმერ ახალკაცმა* ბაქოური სიხარულის ერთ-ერთ უმთავრეს წინა პირობად ბოლო ხანებში გამოსწორებული ფინანსური მდგომარეობა დაასახელა — სპორტის დეპარტამენტმა დაფინანსება სამჯერ გაგვიზარდა, თუ აქამდე ჩვენი ბიუჯეტი 60 ათასი იყო, ახლა უკვე 200 ათასია. ისტორიაში პირველად, მწვრთნელებს ხელფასები დაენიშნათ და კრივისთვის რომ ბევრი კეთდება, ნელ-ნელა შედეგებსაც დაეტყობაო.

ბოლო სიტყვა კი ნაკრების თავკაცისა იყო. *ავთანდილ შოშიაშვილი:*

„ასეთი შედეგებით განებივრებულები არ ვიყავით და, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დავრჩი. საინტერესოა, რომ ტურნირზე სულ 24 ქვეყნის ნაკრები ჩამოვიდა. მასპინძლებმა სულაც ოთხი შემადგენლობა დააყენეს. ასე რომ, ხელწამოსაკრავი კონკურენცია ნამდვილად არ ყოფილა. კრივს დღეს ბევრად მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ადრე და ჩვენც უფლება არ გვაქვს, შესაძლებლობების მაქსიმუმი არ გამოვავლინოთ. შემდეგი გასვლა უკრაინაში გველის. 15 აპრილს კლიჩკოების ტურნირზე გავემგზავრებით.

**ოთარ გაღლაძელიძე**

## მასტერსის სერია. კი ბისკეინი. აშშ. ჰარდი
22 მარტი-1 აპრილი. საპრიზო 6 900 000$

კაცები

**ფინალი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (10, სერბეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:3 6:2 6:4



AFP კი ბისკეინიდან

# ნოვაკ ჯოკოვიჩი: ეს მხოლოდ დასაწყისია

**საუკეთესო** პერიოდი უდგას თავის ჯერჯერობით ხანმოკლე კარიერაში ნოვაკ ჯოკოვიჩს — 19 წლის სერბმა ფანტასტიკური ოთხკვირიანი პერიოდი განვლო, რომლის განმავლობაშიც ზედიზედ ორი მასტერსის ფინალში ითამაშა. ბალკანელმა ორი კვირის წინ თავისი შანსი ხელიდან კი გაუშვა, მაგრამ რაც ინდიან უელსში ვერ შეძლო, ფლორიდულ კი ბისკეინში გააზრება და პირველი საკარიერო დიდი ტურნირიც მოიგო.

წლევანდელი კიბისკეინური ფინალი მართლაც განსაკუთრებული იყო — ჯერ ერთი, რომ ჯოკოვიჩი მხოლოდ მესამე თინეიჯერია, ვინც ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში თამაშის უფლება მოიპოვა. მეორე ფინალისტ გილერმო კანასს კი სულაც უნიკალური მიღწევა ეკუთვნის, რადგანაც ის პირველი ჩოგბურთელია, ვინც კი ბისკეინში თამაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო და შემდეგ ფინალში გასვლა შეძლო.

საკუთრივ ფინალმა კი იმედები ალბათ ნაკლებად გაამართლა, რადგანაც ჯოკოვიჩი თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა სიტუაციას. თავიდანვე კარგად იყო ცნობილი, რომ კანასს სერბთან ჭიდაობა გაუჭირდებოდა, რადგანაც ბალკანელი გაცილებით მრავალმხრივი და ფართო არსენალის მქონე ჩოგბურთელია. არგენტინელის შანსი კი ყველა ბურთისთვის ბოლომდე ბრძოლასა და ახალგაზრდა მეტოქის ფიზიკურად გამოფიტვაში იყო. მაგრამ პატაგონიელმა საერთოდ ვერ აუღო ალღო სერბის ლაღ თამაშს, რის გამოც ხშირად სტატისტის როლში ექცეოდა და მეტოქის ლამაზ კომბინაციებს ტრიბუნებზე შეკრებილი მაყურებლივით გვერდიდან უცქერდა. პირველი სეტის მიწურულს კანასმა სულაც ფეხი ამოიბრუნა, რამაც ალბათ საბოლოოდ გამოაცალა ძალები. წინასწარი გათვლით კი მას ბევრი უნდა ერბინა, რაც მტკივანი ფეხით თითქმის შეუძლებელია.

კანასმა ბოლოს მეორე სეტის შუაში გაიბრძოლა, როცა ჯოკოვიჩის გეიმზე სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა — ეს გეიმი სულაც მატჩის მშვენებად იქცა, რადგანაც 20 წუთი გაგრძელდა. თუმც სერბმა მოახერხა ყველაფრის აღმოფხვრა და თავისი მოწოდება მაინც არ დათმო, რამაც არგენტინელი საბოლოოდ გატეხა წელში და მესამე პარტია ფორმალობადღა იქცა.

ჯოკოვიჩი კი ბისკეინის 23-წლიან ისტორიაში ყველაზე ახლაგაზრდა ჩემპიონია. აქამდე აქ მხოლოდ ერთ თინეიჯერს, ანდრე აგასის ემარჯვა (1990 წელს შტეფან ედბერგს მოუგო), სერბი კი იმ ავასიზე ერთი თვით უმცროსია. ამასთანავე ბალკანელი მხოლოდ მეორე ჩოგბურთელია დიდი ივან ლენდლის შემდეგ (1989 წელს), ვინც კი ბისკეინის კორტებზე სეტწაუგებლად იმარჯვა. გარდა ამისა, ჯოკოვიჩი მხოლოდ მეხუთე თინეიჯერია, ვისაც მასტერსი მოუგია. წლეულს სერბს ყველაზე მეტი — 24 მოგება დაუგროვდა და ერთით გაუსწრო თავის კბილა ენდი მიურეის, რომელსაც აქ ნახევარფინალში გადაუარა.

„ეს დიდი მიღწევაა. თან აქაურობის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი ვყოფილვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისტორიაში შევალ. ეს კი ძალიან სასიამოვნოა. იმედი მაქვს, ეს ჩემი წარმატებების მხოლოდ დასაწყისია და მთავარი გამარჯვებები წინ მელის. ვფიქრობ, თანამედროვეობის ტოპჩოგბურთელებს თამაშის დონით ნელ-ნელა ვუახლოვდები, რის დასტურადაც რაფაელ ნადალის აქ დამარცხება გამოდგება. მართალია, როჯერ ფედერერი ჯერ არ დამიმარცხებია, მაგრამ იმედი მაქვს, ამის დროც დადგება" — სამომავლო მიზნები გაამხილა ჯოკოვიჩმა ნამატჩევს.

**ბაჩა ლომჯიშვილი**

# კაცები

**განთესვის რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1 როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2 რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4875 |
| 3 ენდი როდიკი (აშშ) | 2980 |
| 4 ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 5 ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2755 |
| 6 ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2645 |
| 7 ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 2540 |
| 8 ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2270 |
| 9 ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2150 |
| 10 ტომი ჰაასი (გერმანია) | 2135 |
| 11 ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2125 |
| 12 დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1805 |
| 13 მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1775 |
| 14 ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1715 |
| 15 რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1620 |
| 16 დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1615 |
| 17 მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1545 |
| 18 მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1315 |
| 19 ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1250 |
| 20 იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1250 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1 როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 276 |
| 2 ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 272 |
| 3 ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 212 |
| 4 ენდი როდიკი (აშშ) | 210 |
| 5 რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 205 |
| 6 ტომი ჰაასი (გერმანია) | 201 |
| 7 ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 180 |
| 8 ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 170 |
| 9 მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 152 |
| 10 ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 146 |
| 11 ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 124 |
| 12-13 გილერმო კანასი (არგენტინა) | 120 |
| 12-13 დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 120 |
| 14 ტომი რობრედო (ესპანეთი) | 112 |
| 15 ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 104 |
| 16 მარდი ფიში (აშშ) | 96 |
| 17 კარლოს მოია (ესპანეთი) | 95 |
| 18 მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 92 |
| 19 რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 85 |
| 20 რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 78 |

# ქალები

**განთესვის რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1 ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3994 |
| 2 მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3388 |
| 3 ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2776 |
| 4 კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2699 |
| 5 სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2667 |
| 6 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2294 |
| 7 ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2173 |
| 8 ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1981 |
| 9 ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1867 |
| 10 ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1847 |
| 11 სერენა უილიამსი (აშშ) | 1769 |
| 12 ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1635 |
| 13 დინარა საფინა (რუსეთი) | 1597 |
| 14 დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1571 |
| 15 შაჰარ პირი (ისრაელი) | 1508 |
| 16 პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1505 |
| 17 ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1400 |
| 18 ნა ლი (ჩინეთი) | 1388 |
| 19 ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1083 |
| 20 ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1007 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1 სერენა უილიამსი (აშშ) | 1530 |
| 2 ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 1050 |
| 3 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1036 |
| 4 მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1030 |
| 5 კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 985 |
| 6 სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 936 |
| 7 ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 930 |
| 8 დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 867 |
| 9-10 ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 850 |
| 9-10 ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 850 |
| 11 შაჰარ პირი (ისრაელი) | 826 |
| 12 ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 825 |
| 13 ნა ლი (ჩინეთი) | 681 |
| 14 ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 631 |
| 15 ნადია პეტროვა (რუსეთი) | 626 |
| 16 ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 540 |
| 17 დინარა საფინა (რუსეთი) | 481 |
| 18 ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 480 |
| 19 ტატიანა გარბინი (იტალია) | 456 |
| 20 ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 442 |

# რეიტინგში მატებაა
## კალაშნიკოვამ ათასეულში ისკუპა

**კი ბისკეინის** სუპერტურნირის დასრულებისთანავე, ტრადიციულად ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და სასიხარულოა, რომ ქალთა კლასიფიკაციაში ჩვენი ჩოგბურთელების მატებაა — ოქსანა კალაშნიკოვასა და სოფო ქვაცაბაიას გასულ თვეში კარგი თამაში დაუფასდათ და ისინი კარგა ხნის შესვენების შემდეგ ისევ WTA-ს რეიტინგში არიან.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა კალაშნიკოვას დაბრუნება. ოქსანამ პირდაპირ ათასეულში ისკუპა და 6,5 სარეიტინგო ქულით 969-ე ადგილზე მოიკალათა, ხოლო ქვაცაბაიას 4,0 ქულით 1196-ე პოზიცია უჭირავს.

ქართველ ქალთა პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი 209,0 ქულით 142-ეა, რაც წინა რეიტინგის მაჩვენებელზე ერთით უკეთესია. სამაგიეროდ, ანა ტატიშვილმა დაკარგა ერთბაშად 56 პოზიცია და 68,75 ქულით 321-ე ადგილზე დაიხია. მცირედით დაქვეითდნენ ათასეულში მყოფი სხვა ჩვენებურებიც: სოფო მელიქიშვილმა 58,5 ქულით ექვსი საფეხურით დაბლა — 344-ზე ჩაიწია, სალომე დევიძე(-10) 25,5 ქულით 543-ეა, სოფო შაფათავა(-3) 15,25 ქულით 686-ე პოზიციაზე იმყოფება, ეკა გორგოძე(-10) 12,0 ქულით 767-ეა, ხოლო მანანა შაფაქიძე(-1) 10,25 ქულით 815-ე ადგილზეა.

ათასეულს მიღმა ქვაცაბაიას გარდა კიდევ ორი ქართველია. თეონა ცერვაძემ 5,25 ქულით ოთხი ადგილით მაღლა — 1076-ზე აინაცვლა, ხოლო მარიამ ქურდაძემ შვიდი პოზიცია მოიგო და 2,75 ქულით 1328-ე საფეხურს უწია.



წინა რეიტინგთან შედარებით მცირედით უკან დაიხიეს ქართული კაცთა ჩოგბურთის ლიდერებმა. ირაკლი ლაბაძემ 4 პოზიცია დათმო და 236 ქულით 175-ე ადგილზე დაქვეითდა, ხოლო ლადო ჩიხლაძემ 11 საფეხურით დაბლა დაიწია და ახლა 59 ქულით 478-ე პოზიციაზეა.

# ორნი ალაბამაში

**კვირის** ბოლოს დევისის თასის მატჩები გაიმართება და ამის გამო ამ კვირაში ჩვენები სარეიტინგო ტურნირებში არ ითამაშებენ. საქართველოს ნაკრებს ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში უაღრესად რთული შეხვედრა ელის სერბეთში — მასპინძლებს ხომ დიდებულ ფორმაში მყოფი ნოვაკ ჯოკოვიჩი ჰყავთ და ჩვენებს გამარჯვების მინიმალური შანსი თუ აქვთ.

დიდად დატვირთული ეს კვირა არც ქალებისთვისაა. ჩვენებურთაგან სატურნირო განაცხადებში მხოლოდ ორნი იყვნენ და ამათგან ერთმა უკვე დაასრულა შეჯიბრი. ამერიკაში, ალაბამას შტატის ქალაქ პელემის თიხაზე ITF-ის ეგიდით 25-ათასიანი ტურნირი ტარდება და სოფო მელიქიშვილი და სალომე დევიძე კვალიფიკაციიდან ცდილობენ ძირითად ბადეში მოხვედრას.

უფრო სწორად, დევიძე ველარ ცდილობს, რადგანაც პირველივე წრეში 1:6 2:6 დამარცხდა კლასიფიკაციაში 296-ე ადგილზე მყოფ რუს მარია კონდრატიევასთან.

აი, მელიქიშვილმა კი პირველი ბარიერი კანადელი ჰეიდი ელ ტაბაჰის სახით უკვე გადალახა. ქართველი 4:2-ს იგებდა, როდესაც კანადელმა თამაში შეწყვიტა. მეორე წრეში სოფო რეიტინგის 576-ე ნომერს, არგენტინელ ერიკა კრაუჰს შეხვდება, რომელმაც პირველ შეხვედრაში ამერიკელ მერი გემბილს 6:1 7:6 მოუგო.

# ანანდი მეექვსე პირველია



ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა.

კაცთა საუკეთესო ასეულს მეოთხე ქართველი, მერაბ გაგუნაშვილი შეემატა. 21 წლის დიდოსტატმა 2625 ქულა დააგროვა და საუკეთესოებში 96-ე ნომრად შევიდა. ჩვენებურთაგან პირველი კვლავაც ბადურ ჯობავაა. საქართველოს ჩემპიონმა 9 პუნქტით წაიწია წინ და ასეულში 2658 ქულით 44-ე ადგილზე აღმოჩნდა. ქართველებს შორის მეორე — ზვიად იზორია — 71-ეა 2641 ქულით. თანდათან თმობს პოზიციებს ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი. ევროპის 2003 წლის ჩემპიონი კარგა ხანია, ტურნირებზე ძველებურად ხშირად აღარ გამოდის და უკან-უკან იხევს. აზმაიფარაშვილი ახლა 86-ეა.

პირველ ადგილზე ვიშვანათან ანანდმა გადაინაცვლა. ინდოელმა დიდოსტატმა წლეულს მორელია-ლინარესის სუპერტურნირი მოიგო, ქულათა დიდი მარაგი დააგროვა და 2786 ქულით გალიდერდა.

მეორეზე ჩამოქვეითდა ვესელინ ტოპალოვი. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ამ სეზონში ორი სუპერტურნირი ჩააგდო, ბევრი ქულა დაკარგა და მთავარ-კონკურენტი ვლადიმირ კრამნიკიც მოუახლოვდა. მსოფლიოს ჩემპიონს, ისევე როგორც ბულგარელს 2772 ქულა აქვს, თუმც დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩება.

ფიდე რეიტინგს 1970 წლიდან აქვეყნებს და ანანდამდე პირველ ნომრად სულ ხუთი მოჭადრაკე ჰყავდა. პირველად იყო ბობი ფიშერი, შემდგომ ანატოლი კარპოვი, გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი და ვესელინ ტოპალოვი.

**ლუბა გეგეჭკორი**

## ფიდეს რეიტინგი

### კაცები

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2786 |
| 2. | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2772 |
| 3. | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 2772 |
| 4. | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 2762 |
| 5. | ლევონ არონიანი (სომხეთი) | 2759 |
| 6. | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 2757 |
| 7. | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 2747 |
| 8. | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2738 |
| 9. | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 2736 |
| 10. | მაიკლ ადამსი (დიდი ბრიტანეთი) | 2734 |
| 11. | ბორის გელფანდი (ისრაელი) | 2733 |
| 12. | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 2729 |
| 13. | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2727 |
| 14. | დავით ნავარა (ჩეხეთი) | 2720 |
| 15. | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 2717 |
| 16. | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 2717 |
| 17. | ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) | 2709 |
| 18. | დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) | 2708 |
| 19. | გატა კამსკი (აშშ) | 2705 |
| 20. | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 2699 |
| 44. | ბადურ ჯობავა (საქართველო) | 2658 |
| 71. | ზვიად იზორია (საქართველო) | 2641 |
| 86. | ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) | 2632 |
| 96. | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 2625 |

### ქალები

| | | |
|---|---|---|
| 1. | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2727 |
| 2. | ჰუმპუ კონერუ (ინდოეთი) | 2575 |
| 3. | პია კრამლინგი (შვედეთი) | 2535 |
| 4. | ჩენ ჟუ (ყატარი) | 2518 |
| 5. | ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) | 2515 |
| 6. | იფან ჰოუ (ჩინეთი) | 2513 |
| 7. | მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) | 2510 |
| 8. | ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) | 2496 |
| 9. | დრონავალი ჰარიკა (ინდოეთი) | 2491 |
| 10. | მონიკა სოცკო (პოლონეთი) | 2481 |
| 11. | მარი საბაგი (საფრანგეთი) | 2479 |
| 12. | ალისა გალიამოვა (რუსეთი) | 2477 |
| 13. | ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) | 2475 |
| 14. | ანა უშენინა (უკრაინა) | 2475 |
| 15. | ანა მუჟიჩუკი (სლოვენია) | 2774 |
| 16. | თან თრან ჰონგი (უნგრეთი) | 2472 |
| 17. | იელენა დემბო (საბერძნეთი) | 2470 |
| 18. | ნინო ხურციძე (საქართველო) | 2469 |
| 19. | კატერინა ლაჰნო (უკრაინა) | 2467 |
| 20. | ხუ ჩაო (ჩინეთი) | 2467 |
| 31. | ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 2435 |
| 32. | ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) | 2435 |
| 37. | ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) | 2425 |
| 46. | სოფიო გვეტაძე (საქართველო) | 2411 |



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# ფორდმა შუშები და ქულები გაითხელა



სებასტიენ ლოებისა (მარჯვნივ) და დანიელ ელენას სუპერწყვილი

**პორტუგალიის** „გრან პრი" ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა კლასიკური რალის კალენდარში და უკვე პირველივე გაჯიბრებისას კინაღამ ტრაგედია დატრიალდა.

რბოლისწინა ვარჯიშის დროს პორტუგალიელმა მძღოლმა არმინუ არაუჟუმ მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა, „მიცუბისი" მაყურებლებში შევარდა და ხუთი ადამიანი დააშავა, მათ შორის სამი ფოტორეპორტიორი.

ერთ მათგანს ფეხი მოტყდა, მეორეს — ხელი, სხვები იოლად გადარჩნენ.

ადრე ამ ფრიად პოპულარული და რთული ეტაპის დისტანცია საპორტო ქალაქ პორტუს მიდამოებში გადიოდა. ახალი დისლოკაციის ადგილი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ასევე ოკეანისპირა კურორტ ვილამურას შემოგარენში ღორღიანი გზები გახდა. 79 ეკიპაჟს მაქსიმალური სისწრაფით 18 სპეცმონაკვეთი უნდა დაეძლია.

თავიდან მარკუს გრონჰოლმი დაწინაურდა, მაგრამ პირველივე დღის ბოლოს ლიდერობა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა სებასტიენ ლოებმა ჩამოართვა. მართალია, თავიდან სხვაობა სულ რაღაც სამ წამს შეადგენდა, მაგრამ შაბათს ექვსივე ჩქაროსნული უბნის მოგებით სებმა უმთავრესი სატიტულო კონკურენტი უკვე 40 წამით ჩამოიტოვა, რაც დარჩენილ 80 კილომეტრზე დაუძლეველი გრონჰოლმისთვის პასივი იყო.

„ფორდის" ფინელი პილოტი მეორე ადგილითაც კმაყოფილი ჩანდა, რადგან გენერალურ კლასიფიკაციაში მეწინავეობა შეინარჩუნა, თუმც როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ორიოდ საათით. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ტექნიკურმა დელეგატმა მანქანების ფინიშისშემდგომი შემოწმებისას აღმოაჩინა, რომ „ფორდების" უკანა გვერდითი მინები რეგლამენტირებულ 3,5 მილიმეტრზე თხელი იყო.

შედეგად, სტიუარდებმა „ცისფეროვალიანთა" ექვსივე ეკიპაჟის დროს ხუთ-ხუთი საჯარიმო წუთი მიუმატეს და აღმოჩნდა, რომ მეორე-მესამე ადგილებზე გასული გრონჰოლმი და მიკო ჰირვონენი ორ-ორი პოზიციით ჩამოქვეითდნენ. ამრიგად გრონჰოლმმა რვის ნაცვლად მხოლოდ ხუთი ქულა მიითვალა და წლეულს პირველად მოუხდა საერთო ჩათვლაში ლიდერობის დათმობა.

ამ სანქციით იხეირა მსოფლიოს ექსჩემპიონმა პეტერ სოლბერგმა, მეოთხედან მეორე საპოდიუმე საფეხურზე შედგა და მოულოდნელი სამი ქულაც მიემატა, თუმც სატურნირო ცხრილში მაინც თავისთვის მეტად უხეირო, მეხუთე ადგილზეა.

მომდევნო, მეექვსე ეტაპი ერთი თვის შემდეგ არგენტინაში გაიმართება.

**გია ახალაძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
მეხუთე ეტაპი. პორტუგალია. 357.1 კმ

### რბოლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3 სთ; 53.33,1 |
| 2 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | ჩამორჩა 3.13,9 |
| 3 | დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 5.05,3 |
| 4 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 5.37,1 |
| 5 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 7.08,1 |
| 6 | დანიელ კარლსონი (შვედეთი, სიტროენი) | 8.13,2 |
| 7 | ჯანლუიჯი გალი (იტალია, სიტროენი) | 9.39,6 |
| 8 | იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, ფორდი) | 10.44,9 |

### საერთო ჩათვლა

1. ლოები — ელენა 38 ქულა; 2. გრონჰოლმი — რაუტიაინენი 37; 3. ჰირვონენი — ლეპტინენი 30; 4. სორდო — მარტი 19; 5. პეტერ სოლბერგი — მილნი 16; 6. ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, ფორდი) 11; 7. ატკინსონი — მაკნილი (ავსტრალია, სუბარუ) 10; 8. კარლსონი — ჟირადე 9; 9. ლატვალა — ანტილა 7; 10. გალი — ბერნაჩინი 5

### კონსტრუქტორთა თასი

ფორდი 67 ქულა, სიტროენი 59, სუბარუ 27, სტობარდ — ფორდი 21; კრონოს — სიტროენი 21



# ძველი ოზები და ახალი ახალზელანდიელები

კარიბეთში გრძელდება კრიკეტის მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ჯგუფური ეტაპის მოლევის შემდეგ რვა საუკეთესო ნაკრები ახლა ერთმანეთში არკვევს ურთიერთობას.

აქვე დავამატებთ, რომ ვწყვეტთ კრიმინალურ ქრონიკას, რადგანაც პაკისტანის მწვრთნელ ბობ ვულმერის მოკვლის შესახებ გამოძიებას ახალი არაფერი უთქვამს და ალბათ ჩემპიონატის ბოლომდე არც არაფერს გაამხელს.

დავუბრუნდეთ საკუთრივ ჩემპიონატს, რომელიც ჯერჯერობით სამხრეთული ნაკრებების აშკარა ზეობით მიმდინარეობს. მოქმედი ჩემპიონი ავსტრალია უმთავრეს ფავორიტად ისედაც მიიჩნეოდა, რასაც ოზები ყოველ შეხვედრაში ამტკიცებენ და მართლაც შთამბეჭდავად მიქრიან — ყველა შეხვედრა მოიგეს და სუპერრვის სათავეში არიან.

აი, ახალი ზელანდიისგან ასეთ ჩაუქრობას ნაღდად არავინ ელოდა, მაგრამ მაორები ჯერჯერობით წარმატებით იქნევენ ტაფელებს და მეზობელი ოზებისა არ იყოს, ისინიც დაუმარცხებელნი არიან. ჩამორჩენით კი ავსტრალიელებს მარტო იმიტომ ჩამორჩებიან, რომ ნაკლები შეხვედრა ითამაშეს.

ჯგუფში დაუმარცხებელი და ვულმერის სიკვდილში წვლილშეტანილი (პაკისტანს მოუგეს) მასპინძლები სუპერრვაში საზიზღრად გამოიყურებიან და სამიდან სამჯერ წააგეს. ავსტრალიასა და ზელანდიასთან მარცხი მეტ-ნაკლებად გასაგებია, მაგრამ შრი ლანკასგან განადგურება ბევრისთვის დიდ მოულოდნელობად იქცა.

ფავორიტთა შორის უნდა მოვიხსენიოთ სამხრეთაფრიკელებიც, რომლებმაც მოახერხეს და ჯგუფურ ეტაპზე დაუმარცხებელ შრი ლანკას პირველად აგემეს წაგების სიმწარე.

კიდევ ერთი გამოსაყოფი თამაში ბრიტანული დერბი იყო — თავის პირველ ჩემპიონატზე მოთამაშე ირლანდიელებმა თავი დადეს, მაგრამ ინგლისს მაინც ვერაფერი მოუხერხეს.

**ბაჩა ლომაძე**



AFP

## მსოფლიოს ჩემპიონატი სატრეკო ველორბოლაში
პალმა დე მალიორკა, ესპანეთი. 29 მარტი –1 აპრილი



# თეო ისევ ბოსია
## ვიქტორიას სამმაგი ვიქტორია

**ესპანეთში,** ბალეარის კუნძულების მთავარქალაქ პალმა დე მალიორკაში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი სატრეკო ველორბოლაში. მედლების ყველაზე უხვი მოსავალი ბრიტანელებმა მოიმკეს — 7 ოქრო და 2-2 ვერცხლი და ბრინჯაო. თვით ბრიტანელებშიც გამორჩეული და ჩემპიონატის მთავარი გმირი კი ვიქტორია პენდლტონი გახლდათ.

ამ 26 წლის დიაცმა პალმაში სამი ოქრო მოიპოვა — ჯერ გუნდურ სპრინტში იმარჯვა, მერე ინდივიდუალურ სპრინტში და ბოლოს, ისევ და ისევ სპრინტის ნაირსახეობა კეირინში აჯობა ყველას. ჩემპიონატი 500 მეტრზე ადგილიდან ჰიტში მსოფლიოს რეკორდით დაამშვენა კიდევ ერთმა დიაცმა, ავსტრალიელმა ანა მაირსმა.

სატრეკო ველორბოლის უმთავრესი სახეობა — კაცთა სპრინტი კი უკვე მესამედ მოიგო ტრეკის ჰოლანდიელმა დიდოსტატმა თეო ბოსმა. თეო, ვის ანგარიშზეც სპრინტერულ სახეობებში უამრავი მსოფლიოს რეკორდია, ამჯერადაც უკონკურენტოდ იყო. ფინალში ჰოლანდიელმა უპრობლემოდ, ორ რბოლაში დაჯაბნა ფრანგი გრეგუარ ბოჟე და ისევე როგორც 2004 და 2006 წლებში, მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

**კაცები**

**სპრინტი** 1. თეო ბოსი (ჰოლანდია; 2. გრეგუარ ბოჟე (საფრანგეთი); 3. მიშელ ბურგანი (საფრანგეთი)

**ადგილიდან ჰიტი 1000 მ** 1. კრის ჰოი (ბრიტანეთი) 1 წთ და 00,999 წამი; 2. ფრანსუა პერვისი (საფრანგეთი) 1.01,838; 3. ჯიმი სტეფი (ბრიტანეთი) 1.02,074

**მედისონი 50 კმ** 1. შვეიცარია (ფრანკო მარვილი, ბრუნო რიზი) 14 ქულა; 2. ჰოლანდია (პეტერ შეპი, დენი სტამი) 13; 3. ჩეხეთი (ალოიზ კანკოვსკი, პეტრ ლაზარი 11

**ქალები**

**კეირინი** 1. ვიქტორია პენდლტონი (ბრიტანეთი); 2. შუან ჰუ (ჩინეთი); 3. ანა მაირსი (ავსტრალია)

**ქულებზე რბოლა 25 კმ** 1. კატრინ ბეიტსი (ავსტრალია) 35 ქულა; 2. მია ბეკერ ლაკოტა (დანია) 29; 3. კატრინ ჩიტლი (ახალი ზელანდია) 27

### ქვეყნები და მედლები

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიტანეთი | 7 | 2 | 2 | 11 | დანია | — | 1 | 1 | 2 |
| ავსტრალია | 2 | — | 4 | 6 | გერმანია | — | 1 | 1 | 2 |
| ჰოლანდია | 1 | 4 | 1 | 6 | ბელგია | — | 1 | — | 1 |
| საფრანგეთი | 1 | 2 | 1 | 4 | უკრაინა | — | 1 | — | 1 |
| კუბა | 1 | 1 | — | 2 | კოლუმბია | — | 1 | — | 1 |
| ჩეხეთი | 1 | — | 1 | 2 | არგენტინა | — | 1 | — | 1 |
| აშშ | 1 | — | 1 | 2 | ახ. ზელანდია | — | — | 1 | 1 |
| ესპანეთი | 1 | — | 1 | 2 | პოლონეთი | — | — | 1 | 1 |
| ჰონკონგი | 1 | — | — | 1 | რუსეთი | — | — | 1 | 1 |
| შვეიცარია | 1 | — | — | 1 | ბელარუსი | — | — | 1 | 1 |
| ჩინეთი | — | 2 | — | 2 | | | | | |

# კონტადორის უკვე ორი



**სეზონის** სტარტზე დიდებულ ფორმაშია ამერიკული „დისქოვერი ჩენელის" ესპანელი მრბოლი ალბერტო კონტადორი. 24 წლის ველოსიპედისტმა ამ ორი კვირის წინ წლევანდელი „პრო-ტურის" სერიის პირველი ერთკვირიანი რბოლა, პოპულარული „პარიზი-ნიცა" მოიგო და ახლა კი ხუთეტაპა „კასტილიისა და ლეონის ვუელტაზე" აჯობა ყველას.

კონტადორმა ლიდერობა მეოთხე, სამთო ეტაპის მოგების შემდეგ იგდო ხელთ და რბოლის ბოლო დღეს, ბურხო დე ოსმადან სორიამდე გაჭიმულ 162-კილომეტრიან გზაზე უპრობლემოდ შეინარჩუნა პირველობა.

მეორე ადგილზე გასული ესპანელი კოლდე ხილი, ვინც „სონი დიუვალის" ღირსებას იცავს, კონტადორს 36 წამით ჩამორჩა. მხოლოდ მეათე იყო ხილის თანამემამულე და თანაგუნდელი ფრანსისკო ვენტოსო, რომელმაც ხუთიდან სამი, მათ შორის დასკვნითი ეტაპი მოიგო.

# ფლანდრია ბოონენმა და ფრეირემ გაიყვეს

**ბელგიის** ფლანდრიულ ნაწილში ეს ორი კვირაა, ერთმანეთის მიყოლებით ტარდება ნახევრად კლასიკური ერთდღიანი რბოლები.

წინა კვირას „ფლანდრიის ტური" იყო, რომელიც ბელგიელთა კერპმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ტომ ბოონენმა მოიგო და გასულ უქმეებზე კი ერთბაშად ორი რბოლა გაიმართა — შაბათს „ფლანდრიის E3 პრიზი", ხოლო კვირას „ფლეშ ბრაბანტონი".

შაბათს საუკეთესო ისევ ბოონენი იყო. „ქვიკ სტეპის" 26 წლის მრბოლმა ზედიზედ მეოთხედ მოიგო „ფლანდრიის E3 პრიზი", ასეთი რამ კი ისტორიაში აქამდე არავის გაეკეთებინა.



ტომ ბოონენი

ბოონენი შვეიცარიელ ფაბიან კანჩელარასთან, გერმანელ მარკუს ბურგჰარდტან და იტალიელ მანუელ ქვინზიატოსთან ერთად, ფინიშამდე 25 კილომეტრით ადრე მოწყდა პელოტონს. ოთხეულმა სინქრონულად იმუშავა, 210-კილომეტრიანი გზის ბოლოს დანარჩენებს 40 წამზე მეტით აჯობა და ფინიშზე კი თავად მოწინავეთა შორის ყველაზე მარდი ბოონენი იყო.

მეორე დღეს, 200-კილომეტრიან „ფლეშ ბრაბანტონზე" პირველობა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, წლევანდელი „მილანი — სან რემოს" მომგებმა ესპანელმა ოსკარ ფრეირემ მოიპოვა.

ჰოლანდიური „რაბობანკის" წევრმა ზედიზედ მესამედ მოიგო ეს ფლანდრიული რბოლა, რომელიც გარკვეულწილად წააგავდა წინა დღეს გამართულს. ოღონდ, ამ ჯერზე ექვსი მრბოლი გაექცა ველოქარავანს, 25 წამით დაწინაურდა და ბოლოს კი ფინიშის დიდოსტატმა ესპანელმა კონკურენტებს შანსი არ დაუტოვა.

# ფოიგტის წრიული კრიტერიუმი

**გასულ უქმეებზე** საფრანგეთში ტრადიციული და უაღრესად პოპულარული სამეტაპა რბოლა „კრიტერიუმ ინტერნასიონალი" ჩატარდა. შაბათს 179-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა იყო, ხოლო კვირას — ჯერ 98-კილომეტრიანი წრიული და შემდეგ რვაკილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა.

„კრიტერიუმი" დანიური CSC-ის გერმანელმა ველოსიპედისტმა იენს ფოიგტმა მოიგო, რომელმაც გადამწყვეტ უპირატესობას შეჯიბრის მეორე, წრიულ ნაწილში მიაღწია.

შაბათს ჯგუფური რბოლის ფინიშზე მრბოლები ჯგროდ მიიჭრნენ და ყველას მეორე გერმანელმა ოლაფ პოლაკმა აჯობა. წრიულ რბოლაში კი ფოიგტმა გაქცევა მოახერხა, ქარავანს 48 წამი მოუგო და რვაკილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში ამხელა სხვაობის გაბათილება ველარავინ შეძლო.

საბოლოო ჯამში ფოიგტმა 34 წამით აჯობა ინდივიდუალური რბოლის მომგებ შვედ თომას ლიოვკვისტს, ხოლო მესამე ადგილზე გამარჯვებულთან 37-წამიანი ჩამორჩენით, ფავორიტად მიჩნეული ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე გავიდა.

**გია მუჯირი**



## ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი მოსკოვი. რუსეთი. 31 მარტი – 1 აპრილი

# გერმანიამ მოსკოვი აიღო

**ნახევარფინალი**

**დინამო** (რუსეთი) 1:3 **ტური** *(საფრანგეთი)*
*18:25, 26:28, 25:19, 22:25*

**მაზერატი** (იტალია) 2:3 **ფრიდრიხსხაფენი** *(გერმანია)*
*25:20, 24:26, 19:25, 25:13, 13:15*

**ფინალი**

**ტური 1:3 ფრიდრიხსხაფენი**
*20:25, 24:26, 25:23, 19:25*

**მესამე ადგილისთვის**

**დინამო 3:0 მაზერატი**
*25:18, 25:23, 25:18*

**სენსაციურად** დასრულდა ფრენბურთელ კაცთა ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალი. მოსკოვში გამართული შეჯიბრის ფავორიტებად მასპინძელი „დინამო" და იტალიის ჩემპიონი „მაზერატი" ითვლებოდნენ, ხოლო გერმანულ „ფრიდრიხსხაფენს" სათვალავში არავინ აგდებდა.

ყველაფერი კი პირიქით მოხდა: ნახევარფინალში გერმანელებმა თავიანთი ლიდერის იოხან შეპსის ბრწყინვალე თამაშის წყალობით უდრამატულეს ბრძოლაში აჯობეს იტალიელებს, ხოლო მასპინძლები ფრანგული „ტურის" ფრენბურთელებმა გააწბილეს.

ფინალში ფავორიტად უკვე „ტური" ითვლებოდა, მაგრამ შეპსის შეჩერება ვერც ფრანგებმა შეძლეს და გერმანული გუნდი ისტორიაში პირველად გახდა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული.

რაც გასაკვირია და ოთხთა ფინალის საუკეთესო მოთამაშედ იოხან შეპსი აღიარეს.



## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

*კილი (გერმანია)* 37:34 პორტლენდ სან ანტონიო *(ესპანეთი)* (28:30)

ვალიადოლიდი (ესპანეთი) 25:24 ფლენსბურგ-ჰანდევიტი *(გერმანია)* (30:32)



# პირველი გერმანული

## ვალიადოლიდში ვალიდოლი გაქრა

**ჩემპიონთა** ლიგის 15-წლიან ისტორიაში მეხუთედ მოხდა, რომ ფინალში ერთი ქვეყნის გუნდები გავიდნენ. წინა ოთხივე შემთხვევაში ეს ესპანური კლუბები იყვნენ. ამ სუპერტურნირის 2006-07 წლების გადამწყვეტ ორ ორთაბრძოლაში კი ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყნის — გერმანიის წარმომადგენლები დაუპირისპირდებიან.

პირველი ნახევარფინალური მატჩები მასპინძლებმა — „პორტლენდმა“ და „ფლენსბურგმა“ მხოლოდ ორ-ორბურთიანი სხვაობით მოიგეს და საპასუხო შეხვედრებშიც უმწვავესი ბრძოლა გაჩაღდა.

გამორჩეულად დაძაბული და დრამატული გამოდგა მატჩი ვალიადოლიდში. მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს მატჩის სადავეები და უკვე პირველ ტაიმში გააბათილეს ჩამორჩენა — 13:11. ისინი შესვენების შემდეგაც ერთთავად წინ იყვნენ ორი-სამი ბურთით, თუმც ბოლო წუთისთვის ფლენსბურგელებმა შეძლეს ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირება — 24:25.

ესპანურ გუნდს უკანასკნელ წამებზე დაუბრუნდა საფინალო შანსი, მაგრამ იღბალმა და ნერვებმა ზურგი აქცია. სტუმართა შვედმა მეკარე დან ბოიტლერმა მანამდე ოთხჯერ გამტან რობერტო გარსია პარონდოს პენალტი აუღო და მატჩის გმირად იქცა, რითაც „ვალიადოლიდის“ ქომაგებს სწორედ რომ ვალიდოლი გამოუწერა.

გერმანიის საპორტო ქალაქ კილის „ჰალეში“ 10300 გულშემატკივარი მივიდა თავისიანების მხარდასაჭერად. ტაიმი მასპინძლებმა კი მოიგეს (20:19), მაგრამ მერე თითქმის ოცი წუთი მდევრების როლში იყვნენ, თუმც მაინც მოახერხეს გარდატეხის შეტანა, უმთავრესად ფრანგი ლეგიონერების — ათჯერ გამტან ნიკოლა კარაბატიჩისა და მეკარე ტიერი ომეიერის ბრწყინვალე თამაშის წყალობით.

ერთი სიტყვით, კილელებმა ზუსტად საჭირო სხვაობით დაამარცხეს ჩემპიონთა ლიგის სამი წლის წინანდელი ტრიუმფატორი და საუკეთესო სახელბურთო ტიტულისთვის აპრილის ბოლოს თანამემამულე ფლენსბურგელებს შეეჭიდებიან.

**გია ახალაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

# ბოლო კვირის ინტრიგა

**ეს კვირაც** და რიგით 88-ე რეგულარული ჩემპიონატი წარსულს ჩაბარდება, რის შემდეგაც საკლუბო ჰოკეის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოსთვის, სტენლის თასისთვის გაჩაღდება ბრძოლა.

დღესდღეობით თექვსმეტი საპლეიოფო გუნდიდან თორმეტის ვინაობაა ცნობილია. სამაგიეროდ, დარჩენილი ოთხი საპლეიოფო ადგილისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული.

ოღონდ აქვე ვთქვათ, რომ რეალური ბრძოლა აღმოსავლეთ კონფერენციაში მიმდინარეობს, რადგანაც დასავლეთში დარჩენილი ერთი ადგილი ფაქტობრივად დაკავებულია — „კალგარი“ მდევარ „კოლორადოს“ უკვე შვიდი ქულით უსწრებს და დარჩენილ ოთხი შეხვედრიდან ერთი მაინც რომ მოიგოს, ან თუნდაც ორჯერ ოვერტაიმში წააგოს, პლეი ოფში ადგილი გარანტირებული ექნება.

აი, აღმოსავლეთში კი შემორჩენილი სამი ადგილისთვის ხუთი გუნდი ეცილება ერთმანეთს. ჯერჯერობით უკეთეს მდგომარეობაში „რეინჯერსი“ და „ტამპა“ არიან, რომლებსაც შესაბამისად 91 და 90 ქულა აქვთ და კონფერენციაში მეექვსე და მეშვიდე ადგილზე იმყოფებიან.

პლეი ოფში გამსვლელ ბოლო, მერვე ადგილზე ჯერჯერობით „მონრეალია“, ვისაც 88 ქულა აქვს. ამათ კვალში უდგანან კიდევ ერთი კანადური გუნდი „ტორონტო“ და მოქმედი ჩემპიონი „კაროლინა“, რომელთა ანგარიშზეც შესაბამისად 87 და 86 ქულებია. ყველას 79-79 მატჩი აქვს ნათამაშები და სეზონის ბოლომდე ყინულზე გასვლა თითოეულს კიდევ სამჯერ მოუწევს. ბევრ რამეს აქ ბოლო ტური გადაწყვეტს, როცა „მონრეალი“ და „ტორონტო“ კანადურ დერბიში შეხვდებიან ერთმანეთს.

**კახა ლომაშვილი**

### 1 აპრილი

**კოლუმბუსი 1:4 დეტროიტი**
*0:0 0:3 1:1*
0:1 ლებდა (22), 0:2 ჰოლმსტრომი (31), 0:3 დაციუკი (38), 0:4 ჰოლმსტრომი (41), 1:4 ნეში (60)

**ფლორიდა 3:4 კაროლინა**
*2:0 1:1 0:2 0:1 (ოვერტაიმი)*
1:0 შტუმპელი (3), 2:0 შტუმპელი (8), 2:1 ტანეიბი (23), 3:1 გრეტონი (32), 3:2 ბრინდამორი (53), 3:3 ლაროუზი (57), 3:4 უიტნი (62)

**ნიუ ჯერსი 3:1 ბოსტონი**
*1:0 1:1 1:0*
1:0 პანდოლფო (3), 1:1 კალუში (29), 2:1 ჯიონტა (32), 3:1 პანდოლფო (55)

**ჩიკაგო 2:1 ედმონტონი**
*0:1 1:0 1:0*
0:1 ტორესი (8), 1:1 რუუტუ (27), 2:1 შარპი (43)

**სან ხოსე 6:2 ლოს ანჯელესი**
*1:1 4:0 1:1*
1:0 ბელი (3), 1:1 კამალერი (17), 2:1 ჩიჩუ (23), 3:1 მიხალეკი (27), 4:1 ჩიჩუ (30), 5:1 ჩიჩუ (39), 5:2 ფროლოვი (49), 6:2 რისმილერი (54)

**რეინჯერსი 7:2 ტორონტო**
*2:2 3:0 2:0*
0:1 პონიკაროვსკი (2), 1:1 ევერი (6), 2:1 ნიულანდერი (10), 2:2 დევრო (17), 3:2 კელაჰენი (22), 4:2 სტრაკა (25), 5:2 ევერი (35), 6:2 როზივალი (47), 7:2 იაგრი (53)

## ლიგის ლიდერები

**ბომბარდირები:** სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 117 (36+81); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 109 (21+88); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 106 (51+55); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 101 (43+58); დენი ჰიტლი (ოტავა) 100 (48+52); მარიან ჰოსა (ატლანტა) 97 (42+55); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 93 (29+64); დანიელ ბრიარი (ბუფალო) 93 (32+61); მარკ სავარი (ბოსტონი) 93 (22+71); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 91 (45+46); ჯო საკიკი (კოლორადო) 91 (34+57)

**გოლეადორები:** ლეკავალიე 51; ჰიტლი 48; სელიანე 45; სენ ლუი, ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 43-43; ჰოსა 42; ილია კოვალჩუკი (ატლანტა), ჯეისონ ბლეიკი (აილენდერსი), ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 39-39; ალექსანდრ სიომინი (ვაშინგტონი), სიმონ განიე (ფილადელფია) 38-38; ჯერომ იგინლა (კალგარი), ოლი იოკინენი (ფლორიდა), კრის დრური (ბუფალო) 37-37

**ასისტენტები:** ტორნტონი 88; კროსბი 81; სავარი 71; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 68; იაგრი 64; ბრიარი 61; სენ ლუი 58; საკიკი, პაველ დაციუკი (დეტროიტი) 57-57; მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 56

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** დანიელ ალფრედსონი (ოტავა), ვანეკი 40-40; ტომ პრეისინგი (ოტავა) 39; ანტონ ვოლჩენკოვი (ოტავა) 37; ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), კრის ფილიპსი (ოტავა) 36-36; დაციუკი 34; დერეკ როი (ბუფალო) 31; ჰიტლი 30

| აღმოსავლეთ კონფერენცია | მ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| ბუფალო | 78 | 295:235 | 107 |
| ნიუ ჯერსი | 79 | 209:195 | 102 |
| ატლანტა | 79 | 237:239 | 93 |
| ოტავა | 79 | 279:214 | 102 |
| პიტსბურგი | 79 | 271:239 | 101 |
| რეინჯერსი | 79 | 236:210 | 91 |
| ტამპა | 79 | 246:249 | 90 |
| მონრეალი | 79 | 237:247 | 88 |
| ტორონტო | 79 | 247:257 | 87 |
| კაროლინა | 79 | 233:242 | 86 |
| აილენდერსი | 78 | 233:232 | 84 |
| ფლორიდა | 79 | 236:249 | 83 |
| ბოსტონი | 79 | 214:277 | 76 |
| ვაშინგტონი | 79 | 231:282 | 66 |
| ფილადელფია | 78 | 204:290 | 53 |

| დასავლეთ კონფერენცია | მ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 79 | 242:194 | 108 |
| ანაჰაიმი | 79 | 251:200 | 106 |
| ვანკუვერი | 78 | 212:190 | 101 |
| ნეშვილი | 79 | 262:206 | 105 |
| დალასი | 78 | 218:188 | 102 |
| სან ხოსე | 79 | 248:190 | 102 |
| მინესოტა | 79 | 224:190 | 98 |
| კალგარი | 78 | 247:209 | 96 |
| კოლორადო | 78 | 257:240 | 89 |
| სენტ ლუისი | 78 | 203:241 | 77 |
| კოლუმბუსი | 79 | 196:241 | 71 |
| ედმონტონი | 79 | 192:240 | 69 |
| ჩიკაგო | 78 | 191:244 | 67 |
| ლოს ანჯელესი | 79 | 220:274 | 66 |
| ფინიქსი | 78 | 206:273 | 63 |

კონფერენციებში პირველი სამი ადგილი დივიზიონების ლიდერებს უკავიათ; მთავრული შრიფტით გამოყოფილია პლეი ოფში გასული გუნდები; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთეს მაჩვენებელს



# სქოთმა ინგლისელები ჩინეთში დაიბრიყვა



**მსოფლიოს** მოქმედი ჩემპიონის, შოტლანდიელი გრემ დოტის გამარჯვებით დასრულდა წლევანდელი მსოფლიოს პირველობისწინა ბოლო სარეიტინგო ტურნირი, ჩინეთის ღია პირველობა.

29 წლის სქოთმა შარშან მაისში მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიდან ზუსტად 11 თვის შემდეგ ისევ იმარჯვა სარეიტინგო ტურნირში და 36375 ქულით სნუკერისტთა მიმდინარე კლასიფიკაციას სათავეში მოექცა.

ფინალურ მატჩში დოტმა 9:5 აჯობა 21 წლის ინგლისელ ჯიმი კოუპს, ხოლო მანამდე, ნახევარფინალში, აშკარა უპირატესობით — 6:2 დაამარცხა კიდევ ერთი ინგლისელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი რონი ოსალივანი.

მასპინძელთა სამწუხაროდ, ვერ ივარგა ჟუნ ჰუი დინგმა, ვისზედაც ჩინელები განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ — დინგი ადრეულ სტადიაზე გამოეთიშა მშობლიურ პირველობას.

ჩინური ტურნირით, ფაქტობრივად დასრულდა 2006-07 წლების სეზონი. ფაქტობრივადო, რომ ვამბობთ, იმას ვგულისხმობთ, რომ წინ სეზონის უმთავრესი შეჯიბრი, მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელიც 21 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით შუა ინგლისში, შეფილდში გაიმართება.

**გია მუჯირი**

## სნუკერისტთა რეიტინგის პირველი ოცეული

| | | |
|---|---|---|
| 1 | გრემ დოტი (შოტლანდია) | 36375 |
| 2 | კენ დოჰერტი (ირლანდია) | 34400 |
| 3 | ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 32250 |
| 4 | შონ მერფი (ინგლისი) | 31300 |
| 5 | პიტერ ებდონი (ინგლისი) | 29750 |
| 6 | რონი ოსალივანი (ინგლისი) | 29500 |
| 7 | ნილ რობერტსონი (ავსტრალია) | 29325 |
| 8 | სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 28675 |
| 9 | ჟუნ ჰუი დინგი (ჩინეთი) | 28000 |
| 10 | მარკ უილიამსი (უელსი) | 25725 |
| 11 | სტივ მაგუირი (შოტლანდია) | 24150 |
| 12 | სტივ ლი (ინგლისი) | 24050 |
| 13 | სტივ დევისი (ინგლისი) | 23550 |
| 14 | ბარი ჰოუკინსი (ინგლისი) | 22350 |
| 15 | რაიან დეი (უელსი) | 21700 |
| 16 | ჯიმი კოუპი (ინგლისი) | 21350 |
| 17 | მარკ კინგი (ინგლისი) | 21275 |
| 18 | ჯო პერი (ინგლისი) | 21125 |
| 19 | სტიუარტ ბინგემი (შოტლანდია) | 21000 |
| 20 | ჯო სვეილი (ჩრდ. ირლანდია) | 20550 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჩიანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბაჩო კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge